პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეთხუთმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი
9
ივნისი
1934 წ.
№ 132 (3988)
ფასი 10 კაპ.

დღეს ნომერში

- ამხ. ო. ი. შმიდტის სტატია „ჩელუსკინის“ ექსპედიციის მეცნიერული შედეგების შესახებ;
- „სმოლენსკის“ სარდლობის პატაკი ამხ. სტალინს და კუიბიშევს.
- საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავების წერილი—„პრავდას“.
- გერმანიის ვალიუტის კრახი.
- ლიტვაში მზადდებოდა სამხედრო გადატრიალება.
- მდგომარეობა აღ. ჩინეთის რკინის გზაზე.
- საქართ. ველოში შესრულებულია თამბაქოს დარგვის გეგმა.
- მარგანეცის გამომუშავების გეგმა 6 ივნისს შესრულებულია 76,6 პროცენტით.

მივაღწიოთ სწრაფ აღმავლობას მეცხოველეობაში

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოში არის პროდუქტიული მეცხოველეობის დიდი მაშტაბით განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობა. უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, საუკეთესო ალპიური საბალახოები, სათიბები, საზაფხულო და საზამთრო საძოვრები—აი ის პირობანი, რომელნიც ხელს უწყობენ როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ისე მეცხვარეობის, მეთხეობის, მეღორეობის, მეცხენეობის განვითარებას.

გადაჭრით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბუნებრივ შესაძლებლობებს ჩვენ ვერ ვიყენებთ ისე, როგორც საჭიროა. მეცხოველეობის მეურნეობათა კულაკურ-მავნებლური ელემენტებით დანაგვიანების და აგრეთვე იმის შედეგად, რომ მეცხოველეობის განვითარებას ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანოები არ აქცევენ საჭირო ყურადღებას—ამიერ-კავკასიაში და საქართველოშიც ჩვენ გვაქვს პირუტყვის სულადობის შემცირებისა და მისი პროდუქტიულობის დაცემის ფაქტები.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის დადგენილება „მეცხოველეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმარისად არ მობრუნებულან პირით მეცხოველეობისაკენ“. **რაიონულ პარტიული, საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანიზაციების მუშაობაში**—ნათქვამია იქ— **ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება მეცხოველეობის საქმეს“...** საკოლმეურნეო - სასაქონლო ფერმების მუშაობის მაჩვენებლები მიუხედავათ მათი რიცხობრივი ზრდისა, არადამაკმაყოფილებელია. მთელ რიგ რაიონებსა და ცალკე მეურნეობებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ახალგაზრდა პირუტყვის დიდი რაოდენობით სიკვდილიანობას, სიბერწის დიდ პროცენტს, პირუტყვის დაბალ პროდუქტიულობას, მოვლის ცუდ ორგანიზაციას და ზოოვეტერინალური მომსახურეობის სუსტად დაყენებას. გარდა ამისა აშკარად არა საკმაო ყურადღება ექცევა კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფ პირუტყვის მოვლა-შენარჩუნებას და პირუტყვის გამოზრდას ერთპიროვნულ მეურნეობებში.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ მოუკიდიათ ხელი მეცხოველეობის განვითარების **პრაქტიკული** საკითხებისათვის და სათანადოდ არ გაცნობიან ამ საქმის ყველა **დეტალს.**

ამას მოწმობს რაიმიწგანებთან მეცხოველეობის სექტორების მოწყობის დანაშაულებრივი გაჭიანურება, 1934 წლის ნამატის დაღუპვის დიდი პროცენტი მთელ რიგ რაიონებში, დაგრილების კამპანიის არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობა, ჩამორჩენა ხბოების კონტრაქტაციაში, კოლმეურნეთა შორის უძროხობის ლიკვიდაციის დავალებათა შეუსრულებლობა და პირუტყვის მოვლა-დაცვის საძაგლად დაყენება მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებსა და განსაკუთრებით საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში (ყვარელი, ალბულაღ-მანგლისი, დუშეთი, ყარაია და სხვ.).

დროა მეცხოველეობის განვითარების საქმისადმი არასერიოზული და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო. დროა საზღვარი დაედოს ლაყბობას, ხმაურსა და დაპირებებს, **დროა გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე** და ბოლშევიკურად, **საქმით** მოვკიდოთ ხელი მეცხოველეობის სწრაფი ტემპებით განვითარების კონკრეტულ ამოცანებს.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმის დადგენილება იძლევა ერთის მხრივ მეცხოველეობის დარგში არსებული მდგომარეობის სწორ პოლიტიკურ შეფასებას და მეორეს მხრივ სახავს ამომწურავ კონკრეტულ ღონისძიებებს მეცხოველეობის განვითარების დარგში მე-17 პარტყრილობის და ამხ. სტალინის მიერ მოცემულ საბრძოლო დავალებათა განხორციელებისათვის.

ძირითადი საბრძოლო ამოცანა, რომელიც, პლენუმის დადგენილების თანახმად, უნდა განახორციელონ ამიერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებმა, ესაა **პირუტყვის სულადობის გადიდება და პროდუქტიულობის აწევა.**

1934 წლის განმავლობაში გადიდებულ უნდა იქნას მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა ამიერ-კავკასიაში საშუალოდ 9 პროცენტით, ცხვრის — 16 პროცენტით და ღორებისა—საქართველოში 35—40 პროცენტით. გარდა ამისა საქართველოში უზრუნველყოფილი უნდა იქნას წლიურად რძის მიღება შვეიცის და სიმენტალის ჯიშის ძროხებიდან 11—12 ცენტნერამდე, ხოლო ადგილობრივი ხევსურული ჯიშის თითო ძროხიდან 8 ცენტნერამდე. მატყლის წლიური გამოსავლიანობა ერთ სულ ცხვარზე 1,5 კილოგრამიდან 4—5 კილოგრამამდე იმის მიხედვით თუ რა ჯიშისაა ცხვარი.

მეცხოველეობის განვითარების ამ რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულება მოითხოვს დაძაბულ, ბოლშევიკურ მუშაობას, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანიზაციების მხრივ მეცხოველეობის განვითარების რთული ტექნიკის / დაუფლებას.

შევჩერდებით მეცხოველეობის განვითარების რამოდენიმე საკვანძო საკითხებზე. უპირველესად ყოვლისა **საკვები ბაზის შესახებ.** საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სისტემატიური გაფართოვება და გაუმჯობესება, თავის დროზე და მთლიანად აღება, დასილოსების კამპანიის სწორად ჩატარება, აღდგენა იმ გარდამავალი საძოვრებისა, რომლებიც გადაიხნა, ნათესი ბალახების ფართობის სისტემატიური გადიდება და თესლბრუნვის მტკიცედ გატარება — აი ის ღონისძიებანი, რომლის გატარებაც აუცილებელია მეცხოველეობისათვის **მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.** ამ საკითხების მოგვარებას უნდა მიექცეს ადგილობრივი ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება.

მეორე საკითხი, რომლის გადაჭრამ უნდა უზრუნველყოს მეცხოველეობის სწრაფი ტემპით აღმავლობა სოციალისტურ სექტორში ესაა **შრომის მოწესრიგება მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში.** თუ არ გაუმჯობესდა იმ ადამიანების პირადი შემადგენლობა, რომელნიც პირუტყვს უვლიან, თუ მწყემსებს, მწველელებს, მომვლელებს და მეცხოველეობის ბრიგადირებს არ შეუქმენით სამაგალითოდ მუშაობის სტიმული, თუ გადაჭრით არ აღმოიფხვრა გათანაბრება, გაუპიროვნება და მუშახელის დენადობა, ისე შეუძლებელია ჯოგის გადიდებასა და ხარისხობრივ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე ლაპარაკი. სამხარეო კომიტეტის პლენუმი წინადადებას იძლევა რათა **„აღმოფხვრან გათანაბრება შრომის ხელფასში, შემოიღონ ინდივიდუალური სანარდო სისტემა და შრომის ანაზღაურება პირდაპირ დაუკავშირონ ბრიგადის და თვითეული კოლმეურნის მუშაობის რიცხობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს“.**

სამხარეო კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე მუშაპირუტყვის გამოზრდას, ჯიშის გაუმჯობესებას, პირუტყვისათვის საჭირო ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარებას, ეპიზოტიასთან ბრძოლას, მეცხოველეობის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების მუშაობის გაჯანსაღებას, ერბოკარაქის წარმოების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას, მეცხოველეობის ზუსტად აღრიცხვას და სხვ..

ყველა ამ ამოცანის განხორციელება და მის საფუძველზე მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფა უნდა გადაიქცეს პარტრაიკომების, სამ.-სატრაქტორო სადგურთა პოლიტგანყოფილებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ყველა პარტიულისა და უპარტიოს სადღეისო საბრძოლო ამოცანად.

სამხარეო კომიტეტის პლენუმის ზემოხსენებული გადაწყვეტილება წარმოადგენს მეცხოველეობის განვითარების კონკრეტულ პროგრამას. ეს დადგენილება დეტალურად უნდა დამუშავდეს ყველა პარტორგანიზაციაში. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ დადგენილების საფუძველზე უნდა დასახონ თავიანთი მუშაობის კონკრეტული გეგმა, დარაზმონ მის გასატარებლად საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეები, მშრომელი ერთპიროვნული მეურნენი, ალკვეთონ კულაკურ - კონტრრევოლუციონური ელემენტების წინააღმდეგობა - საბოტაჟი და გვიჩვენონ მეცხოველეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების მაღალი მაჩვენებლები.

„სმოლენსკის“ სარდლობის პატაკი

მოსკოვი, 7 ივნისი. ამხ. სტალინის, კუიბიშევის და წყალთა ტრანსპორტის სახალხო კომისრის პახომოვის სახელზე გამოგზავნილ პატაკებში გემ „სმოლენსკის“ სარდლობა იტყობინება პარტიის და მთავრობის მიერ ჩელუსკინელთა გადასარჩენად მიცემული დავალების შესრულებას. ამხ. სტალინისადმი მიმართულ პატაკში ნათქვამია: „სმოლენსკი“ 7 ივნისს უვნებლად ჩავიდა ვლადივოსტოკში და ამით დაამთავრა საზღვაო ნაოსნობის ისტორიაში პირველი საზამთრო ლაშქრობა ჩუკოტის მიწის ნაპირების გასწვრივ. ეს მოხდა ეკიპაჟის ენტუზიაზმის, მაღალი პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობის და მუშაობაში დამკვრელური ტემპების მეოხებით. პარტიის და მთავრობის მიერ დაკისრებული საპატიო ამოცანა — ჩელუსკინელთა საბოლოოდ გადარჩენა — „სმოლენსკის“ მეზღვაურთა მიერ მთლიანად შესრულებულია.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს — პოლარულ სუსხთან ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვების ორგანიზატორს!

გაუმარჯოს კომუნიზმის ჩვენს ხუროთმოძღვარს ამხ. სტალინს — დიდი საბჭოთა კავშირის კაპიტანს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს“. (ადს).

ამჟღავნებენ ფაშისტურ საიდუმლოებას

გერმანიას ჰყავს ნახევარი მილიონიანი არმია

პარიზი, 7 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ სამხედრო მინისტრმა პეტენმა დეპუტატთა პალატის სამხედრო კომისიის სხდომაზე აღნიშნა არმიისა და პოლიციის პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ზრდა გერმანიაში. პეტენმა ხაზი გაუსვა გერმანიის გასამხედროებული ორგანიზაციების აქტიურ მოღვაწეობას და განაცხადა, რომ გერმანიას უკვე მოეპოვება სამხედრო ავიაცია და რომ სამხედრო მასალების დამზადება გერმანიაში ფართო მასშტაბით ხდება. კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა პეტენს ინფორმაციისათვის.

„ეური“-ს სიტყვით, გერმანიას უკვე ჰყავს საუცხოოდ გაწვრთნილი, დამკვრელი არმია ნახევარი მილიონი კაცის შემადგენლობით. ეს არმია ერთი დღეღამის განმავლობაში შეიძლება გადიდებული იქნეს 1.100 ათას კაცამდე, ხოლო შემდეგ, მოკლე ვადაში 2.800 ათასამდე. 3 თვის განმავლობაში, გაზეთის სიტყვით, გერმანიას შეუძლია მოამზადოს თავდასხმა საფრანგეთზე. (ადს)

მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ. გზაზე

ამხ. ბანდურის წერილი ლი-ბაო-ჩენს

ბეიპინი, 5 ივნისი. როგორც ხარბინიდან იტყობინებიან, ამხ. ბანდურამ ვრცელ წერილში ლი ბაო-ჩენის სახელზე აღნიშნა შემდეგი: „გაზაფხულის დადგომასთან ერთად გაძლიერდა ხუნხუზების მოქმედება განსაკუთრებით გზის აღმოსავლეთის უბანზე. ისინი იწვევენ მატარებელთა მარცხს, ძარცვავენ მოსახლეობას, კლავენ და ტყვედ მიჰყავთ გზის მოსამსახურეები და მგზავრები, თავს ესხმიან სადგურებს, ყაზარმებს, გზის საგუშაგოებს და მუშათა რტელებს და დეზორგანიზაცია შეაქვთ გზის მუშაობაში. ამავე დროს მცველი ჯარების მთავარი შტაბი საკმაო ზომებს არ ღებულობს გზის დასაცავად და მის მოსამსახურეთა და მგზავრთა უზრუნველსაყოფად“. ჩამოთვლის რა უკანასკნელ დროს მომხდარ თავდასხმათა მთელ რიგ შემთხვევებს, ამხ. ბანდურა დასასრულ წერს: „გზის სამმართველოს არაერთხელ მოუქცევია მცველი ჯარების მთავარი შტაბის ყურადღება იმაზე, რომ არასაკმარისია დაცვა მთელ აღმოსავლეთის ხაზზე, სადაც ბოროტგანზრახვითი თავდასხმები მეტისმეტად გაძლიერდა, და, განსაკუთრებით, იმიანპოს, ვეიშახეს და გაოლინტის უბანზე, მაგრამ მდგომარეობა წინანდებური რჩება. უფრო მეტიც: 19 მაისის წერილით მთავარმა შტაბმა შესაძლებლად დაინახა ეცნობებია მცველების მოხსნა საბარგო მატარებლებიდან აღმოსავლეთის ხაზზე, რაც კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას, დიდად აფერხებს ტვირთზიდვას, რომელიც ამის გამო შეიძლება სულაც ჩაკვდეს. მოვაქცევ რა ყურადღებას შექმნილ მდგომარეობაზე, გთხოვთ მიმართოთ ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს გააძლიერონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის დაცვა და მიიღონ ნამდვილი ზომები აღმოსავლეთის ხაზის დასაცავად, რომელიც თავდასხმებს განიცდის“. (ადს)

ესპანეთი დიდი კლასობრივი ბრძოლების წინ

ლონდონი, 7 ივნისი. როგორც ესპანეთიდან იტყობინებიან, სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვამ, აგრეთვე დაჟინებითმა ხმებმა, რომ სამხედრო წრეები აპირებენ გადატრიალების მოხდენას, მადრიდში ფრიად დაძაბული ატმოსფერო შექმნა. ფიქრობენ, რომ ზოგიერთ გენერალს განზრახვა აქვს ჩამოაგდოს პრეზიდენტი ზამორა და მის ადგილზე ლერუსი დააყენოს. ამ ხმების ოფიციალურ გაბათილებას სკეპტიკურად უყურებენ. კიდევ უფრო ნაკლებ ნდობას იწვევს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული დამამშვიდებელი ცნობები სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვის შესახებ. არასრული ცნობებით, გაფიცულთა და პოლიციას შორის მომხდარ შეტაკებათა დროს მოკლულ იქნა 6 კაცი, ხოლო დაიჭრა რამდენიმე ათეული. დაპატიმრებულია 300 გაფიცული, მათ შორის საგაფიცვო კომიტეტის წევრები. პროვინციაში დახურეს რამოდენიმე პროფკავშირის სადგომები. ხაენის პროვინციაში გაფიცულებმა მოკლეს მემამულე ქალი. გლეხებმა მოკლეს აგრეთვე ერთი მიწათმფლობელი ტალედოს პროვინციაში. ბევრ რაიონში მოჯამაგირე გლეხები თავს დაესხნენ მიწათმფლობელთა კარმიდამოებს და ცეცხლს უკიდებდენ ნაგებობებს. გაფიცვას საყოველთაო ხასიათი აქვს ანდალუზიის, სიუდად — რეალის, გრენადის, ბალაგის და ავილის პროვინციებში. ტოლედოში 200 მუშა თავს დაესხა პოლიციას და შეეცადა გაეთავისუფლებია გაფიცვის დაპატიმრებული ხელმძღვანელნი. პოლიციამ სროლა აუტეხა გაფიცულთ და მრავალი მათგანი დაიჭრა. ხაენის და ესტრემადურის პროვინციებში „სამოქალაქო გვარდია“ იცავს მამულებს გაფიცულთა თავდასხმებისაგან. ბევრია დაპატიმრებული. (ადს)

მუშები იბრძვიან ამხ. ტელმანის განთავისუფლებისათვის

ბერლინი, 7 ივნისი. მთავრობის წრეებთან ახლოს მდგომი „ბერლ-ბერზ ცეიტუნგი“ მკაცრად ილაშქრებს მასობრივი კრებების და დემონსტრაციების წინააღმდეგ, რომლებიც ტელმანის დასაცავად საფრანგეთის მრავალ ქალაქში ტარდება. გაზეთი, „საერთაშორისო ლოიალობის წესების“ საფუძველზე, მოითხოვს ზომების მიღებას ამ კამპანიის წინააღმდეგ. (ადს).

მშრომელი ინტელიგენციის პროტესტი

პარიზი, 7 ივნისი. მშრომელი ინტელიგენციის 1.500 წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საპროტესტო რეზოლუციას ტელმანის პროცესის წინააღმდეგ, რომელსაც გერმანიის მთავრობა ამზადებს. ხელისმომწერთა შორის არიან პროფესორი ლანჟევენი, პროფ. ლევი-ბრიული, ბარბიუსი, ანდრე ჟიდი, მალრო და სხვ. (ადს).

მზადდებოდა სამხედრო გადატრიალება ლიტვაში

ვარშავა, 7 ივნისი. აქ მიღებულია ცნობა კაუნასიდან, რომ 7 ივნისს ღამით გარნიზონის ოფიცრებმა ცადეს მოეხდინათ გადატრიალება ყოფილ პრემიერ ვოლდემარასის სასარგებლოდ. ცდა მთავრობამ აღკვეთა. (ადს).

გადააყენეს მთავარი შტაბის უფროსი

კაუნასი (კოვნო), 7 ივნისი. ლიტვაში გადატრიალების მოხდენის ცდასთან დაკავშირებით, დაითხოვეს მთავარი შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი კობელინსკისი. მის ადგილზე დანიშნეს გენერალი ვეიტიატკუსი. (ადს).

ბარბიან განიარაღების კონფერენციიდან

ჟენევა, 7 ივნისი. ჟენევიდან განაგრძობენ გამგზავრებას. გუშინ გაემგზავრა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი. დღეს ინგლისის და ამერიკის დელეგატები ესაუბრნენ საფრანგეთის დელეგატებს და ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენლებს. (ადს).

ადასტურებენ ჩვენს მიღწევებს

ფრანგული გაზეთი საბჭოთა ავიაციის უკანასკნელ მიღწევათა შესახებ

პარიზი, 7 ივნისი. „ერი“ სტატიაში საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის უკანასკნელ მიღწევათა შესახებ მოგვითხრობს ქ. სამარაში მომხდარ ცდაზე თვითმფრინავის ბუქსირების დარგში და საჰაერო მატარებელზე, რომელმაც დაფარა მოსკოვ-კოკტებელის უზარმაზარი მანძილი.

„ზედმეტია დავძინოთ, — დაასკვნის გაზეთი, — რომ საბჭოთა კავშირის ყველა ამ ცდას საერთაშორისო საავიაციო წრეები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს“. (ადს).

გერმანიის ვალიუტის კრახი

ვარშავა, 7 ივნისი. ოფიციოზი „გაზეტა პოლსკა“ წერს: „გერმანიის მარკის თანდათანობით დაცემამ, რაც შემჩნეული იყო უკანასკნელი დღეების განმავლობაში, 5 ივნისს გამოიწვია გერმანიის ვალიუტის აშკარა კრახი. 6 ივნისს ამ კრახმა საერთაშორისო ბირჟებზე კატასტროფის ხასიათი მიიღო“. გაზეთი გამოთქვამს რწმენას, რომ მარკის მდგომარეობა „ჩადენილი შეცდომების და ექსპერიმენტების აუცილებელ შედეგს წარმოადგენს“. (ადს).

საბჭოთა კავშირში

60 წელი რევოლუციურ პოსტზე

ლენინგრადი, 7 ივნისი. ვიბორგის კულტურის სახლის დიდ დარბაზში შედგა კრება ნ. ა. მოროზოვის დაბადებიდან 80 წლის შესრულების და მისი რევოლუციური მოღვაწეობის 60 წლის აღსანიშნავად.

მოხსენებით ნ. ა. მოროზოვის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა ფელიქს კონი.

მიღებულია 200-ზე მეტი დეპეშა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. საიუბილეო მისალმებანი ამხ. კიროვისაგან და ვ. ნ. ფიგნერისაგან. ბალტიის ფლოტის ეკიპაჟის წითელფლოტელებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა ლენინგრადის საბჭოს, წინაშე აღძრეს შუამდგომლობა ნ. ა. მოროზოვის საპატიო წითელფლოტელად დამტკიცების შესახებ. ქარხნის — „რუსკოდიზელის“ მუშებმა ის აირჩიეს საპატიო დამკვრელად.

საპასუხო სიტყვაში ნ. ა. მოროზოვმა მადლობა გადაუხადა მთავრობას და საბჭოთა ორგანიზაციებს მის მიმართ გამოჩენილ ყურადღებისა და განსაკუთრებული პირობების შექმნისათვის, რომლებმაც უზრუნველყვეს მისი ნაყოფიერი მუშაობა (ადს).

ღირსეული სასჯელი სოციალისტური საკუთრების მტაცებლებს

განაჩენი კიევის საოლქო აღმასკომის სამეურნეო განყოფილების მუშაკთა საქმეზე

მოსკოვი, 8 ივნისი. 5 ივნისს უკრაინის უზენაეს სასამართლოს სპეციალურმა საკრებულომ კიევში გამოიტანა განაჩენი კიევის საოლქო აღმასკომის სამეურნეო განყოფილების და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების მოსამსახურეთა საქმეზე. სასამართლოს პროცესი 10 დღეს გრძელდებოდა. პასუხისგებაში მიცემული იყო 29 კაცი.

საოლქო აღმასკომის სამეურნეო განყოფილების მოსამსახურეებს, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული (მ. ტიკოჩინსკის, ლაზარე გოლდშტეინის და სხვ.), ბრალდებოდათ სახელმწიფო ქონების — მასობრივი მოხმარების საქონლის სისტემატიური მტაცებლობა, ამ საქონლით სპეკულაცია, ქრთამების მიცემა სხვადასხვა თანამდებობის პირთათვის, აგრეთვე ფულების შეგროვება და მათი სპეკულაცია.

სამეურნეო დაწესებულებათა მოსამსახურეებს (კარამაშ, გორიაჩკოვსკის და სხვ.) ბრალად ედებოდათ სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა, საქონლის გაცემა გეგმის გარეშე და საბუთებში გაუტარებლად, ქრთამის აღება. ხოლო რკინისგზის მთელ რიგ მოსამსახურეებს ბრალდებათ ვაგონების გაცემა უვანრიგოდ, ქრთამისათვის.

მთავარ ბრალდებულთ: მიხეილ ტიკოჩინსკის, როლლერგერის, ლაზარე გოლდშტეინის, გორიაჩკოვსკის, კარამაშის და კამანოვს სასამართლომ მიუსაჯა დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით.

14 ბრალდებულს, მათ შორის — ნერინოვს, პოზნენკოს, დორფმანს, არონ გოლდშტეინს, აგრეთვე საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმის ყოფილ მდივანს შერემეტიევს — თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით (2-დან 10 წლამდე). 10 ბრალდებულს მიესაჯა იძულებითი სამუშაო ერთი წლის ვადით. (ადს).

არც ერთი წუთით არ შეგვიწყვეტია მეცნიერული მუშაობა

ამხ. შმიდტის სტატია



მე ჯერ კიდევ მთლიანად ვიმყოფები იმ გრანდიოზული, იშვიათი გულთბილი შეხვედრის განცდათა გავლენის ქვეშ, რომელიც ჩვენ მოგვიწყეს საბჭოთა კავშირში მთელს გზაზე და, განსაკუთრებით, მოსკოვში. ეს უეჭველად უძლიერესი განცდაა ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაშია შესაძლებელი გრძნობების ასეთი აღგზნება, ასეთი სიყვარული თავის თანამოქალაქეებისადმი, რომლებიც მუშაობენ განსაკუთრებით სახიფათო უბნებზე.

მალე დაბრუნდება ყველა ჩელუსკინელი. ჩვენთვის სასიხარულო მოვალეობაა ანგარიში ჩავაბაროთ საბჭოთა საზოგადოებრიობას, დაწვრილებით ვუამბოთ ჩვენი მუშაობის, ჩვენი ცხოვრების და ჩვენი გადარჩენის ამბავი. ახლა მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა ექსპედიციის მეცნიერულ შედეგებს. ყველა მეცნიერული ჩანაწერი, დღიურები, გამონაგარიშებანი, რუკები და სხვა მასალები მთლიანად გადარჩენილია. ვერ მოვახერხეთ მხოლოდ თანწამოღებული წყლის მრავალი სინჯი ქიმიური ანალიზისთვის და ბიოლოგიური კოლექციებისთვის.

ჩვენი სამეცნიერო მასალა ორ ნაწილად იყოფა.

პირველი შეიცავს მთელ ჩრდილოეთის საზღვაო გზას მურმანსკიდან ბერინგის სრუტემდე. ეს გზა, როგორც ვიცით, უახლეს დროში გაიარეს სამეცნიერო იარაღებით აღჭურვილმა გემებმა. იგი ჩვენმა გემმა გაიარა მხოლოდ ერთხელ, სახელდობრ 1932 წელს — „სიბირიაკოვმა“ ამიტომ „ჩელუსკინის“ მასალებს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება აქვს.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა მეორე ნაწილი, რომელიც ეკუთვნის ჩუკოტის ზღვის ყინულებში „ჩელუსკინის“ დრეიფისა და ყინულზე ყოფნის პერიოდს.

ჩუკოტის ზღვა საბჭოთა არქტიკის ყველაზე ნაკლებ გამოკვლეული ნაწილია. ჩვენ უკვე დიდი ხანია განზრახული გვქონდა ექსპედიციის მოწყობა ნანსენის ცნობილი „ფრამის“ ტიპის ხის გემით, რომელიც ჩვენ გვინდოდა გაგვეგზავნა ჩუკოტის ზღვის ცენტრში დასაზამთრებლად დრეიფის პირობებში. ჩვენთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონაცემების მიღებას ყინულთა მდინარების განაწილების, მათი მოძრაობის შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ რა კავშირი აქვს ამ მოვლენებს მეტეოროლოგიურ მონაცემებთან, ზღვის ფიზიკასა და ქიმიასთან. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ეს პატარა გემი შეძლებდა ზამთრის გატარებას ყინულებში, რადგან ყინულები გემის სიმსუბუქისა და განსაკუთრებული ფორმის გამო, ალბად, კი არ გაჭყლეტდენ მას, არამედ ზემოთ ამოატივტივებდენ. „ჩელუსკინის“ და ჩვენი ბანაკის დრეიფმა იგივე ამოცანა გაცილებით უფრო მეტად შეასრულა, რადგან ჩვენ გვქონდა არა პატარა გემი მეცნიერთა მცირე რაოდენობით, არამედ ეს იყო ძალთა და მეცნიერული მოწყობილობათა მრავალფეროვანობის მხრივ ყველაზე დიდი არქტიკული ექსპედიცია. „ჩელუსკინის“ მასალების დამუშავების შემდეგ შეიძლება ითქვას რომ ჩუკოტის ზღვას დაახლოებით ვიცნობთ.

მე უკვე ვაცნობე პრესას, რომ მუშაობა ყინულზედაც გრძელდებოდა. ჩვენ მეცნიერებს, რომლებიც ისე, როგორც ექსპედიციის ყველა წევრი, ყოველდღიურად რამდენიმე საათს ეწეოდენ მძიმე ფიზიკურ შრომას — აეროდრომების გაწმენდას, შენობების აგებას და სხვ., ერთიდღითაც არ შეუწყვეტიათ თავისი მეცნიერული დაკვირვებები. „ჩელუსკინის“ დრეიფის რუკა განსაკუთრებული სიზუსტით შეადგინეს ჩვენმა გეოდეზისტმა ი. ი. გაკემ და ჰიდროლოგმა პ. კ. ხმიზნიკოვმა; ისინი სარგებლობდენ რა ყინულით, როგორც მდგრადი მოედნით, გემის ადგილმყოფელობის გამოსარკვევად იყენებდენ არა ტლანქ იარაღებს, არამედ ზუსტ ასტრონომიულ იარაღებს.

ამავე დროს ჩვენი მეტეოროლოგი ო. ბ. კომოვი და აეროლოგი ნ. ნ. შპაკოვსკი აწარმოებდენ ყველა დაკვირვებას მეტეოროლოგიურ მოვლენებზე და ატმოსფეროს ღრმა ფენების გამოკვლევას რადიოზონდით. ხოლო შტურმანები, განსაკუთრებით მ. გ. მარკოვი, ჩაებენ რა მეცნიერულ მუშაობაში, ზომავდენ ყინულის დრეიფის მიმართულებას და სისწრაფეს.

ყველა ამ ოდენობის შედარება საშუალებას მოგვცემს დამუშავების შემდეგ გადავჭრათ უეჭველად საინტერესო თეორიული საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ახდენს გავლენას ქარის მიმართულება მდინარებზე წყნარ ოკეანეში და როგორი მნიშვნელობა აქვს სხვა მიზეზებს და სახელდობრ რომელს მათგანს. საბოლოო შედეგებს ჩვენ მივიღებთ შეგროვებული მასალის ლენინგრადის არქტიკულ ინსტიტუტში გულდასმით დამუშავებისა და გამონაგარიშების შემდეგ.

მე არ ვიცი მოხვდა თუ არა პრესაში ჩვენი დეპეშა, რომელშიაც ვიტყობინებოდით, რომ აეროლოგმა ნ. ნ. შპაკოვსკიმ „ჩელუსკინის“ დრეიფის დროს რადიოზონდი აუშვა 20 კილომეტრის სიმაღლეზე, რითაც დაამყარა რეკორდი. ცნობილ საბჭოთა პროფესორის მოლჩანოვის მიერ გამოგონილი რადიოზონდი, როგორც დავრწმუნდით არქტიკაში წარმოადგენს ერთერთ უძლიერეს იარაღს ატმოსფეროს გამოსაკვლევად. „ჩელუსკინის“ რადიოაპარატთან ჩვენ გარკვევით გვესმოდა რადიოზონდის მიერ ავტომატურად გადმოცემული სიგნალები, რომლებიც აღნიშნავდენ სიმაღლეს, დაწოლას, ტემპერატურას ატმოსფეროს სხვადასხვა ფენისა, სადაც ადიოდა აპარატი, ჩამოკიდულ წყალბადით სავსე 18 ბურთოზე.

მეცნიერთა მეორე ჯგუფი ჰიდრობიოლოგის პ. პ. შირშოვის და ზოოლოგის ვ. ს. სტახანოვის მეთაურობით სწავლობდა ზღვის და ყინულების ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს.

ორიგინალური იყო დაკვირვებანი თუ როგორ მოქმედებს ყინული გემის კორპუსზე. ეს დაკვირვება წელს პირველად წარმოებდა. ფიზიკოსი ი. გ. ფაკიდოვი და ინჟინერი — კონსტრუქტორი პ. გ. რასო ზუსტი ინსტრუმენტების მეშვეობით არკვევდენ კორპუსის სხვადასხვა ნაწილის დეფორმაციას მოძრაობის დროს, ყინულზე დაკვრის დროს და ყინულების მოწოლის დროს. ეს მასალა სერიოზული საძირკველი გახდება იმ ყინულისმჭრელების თეორიულად უფრო ზუსტად და პრაქტიკულად უფრო სრულყოფილი დაპროექტებისათვის, რომელთა ფართოდ გაშლილი მშენებლობა უახლოეს ამოცანას წარმოადგენს.

ახალი პოლარული მეცნიერება დაიწყო ფიზიკოსმა ფაკიდოვმა, რომელიც კაპიტან ვორონინთან ერთად დაკვირვებას ახდენდა ფრიად პატარა, თვალით შეუმჩნეველ ტალღებზე, რომლებიც გადადიოდენ ყინულზე. ალბათ აქ ხდება იმ ახალი მეთოდის ჩასახვა, რომლის დახმარებითაც შეიძლება წინასწარ გავიგოთ ყინულების მოწოლის მოახლოება. ისინი მთელ დღეებს ატარებდენ კარავში, რომელიც ფაკიდოვმა დადგა ყინულზე, ჯერ კიდევ „ჩელუსკინის“ დაღუპვამდე, და აკვირდებოდენ ფაკიდოვის მიერ დამზადებულ ოსტატურ ხელსაწყოს, რომელიც აღნიშნავდა ყინულის სულ მცირეოდენ მერყეობასაც კი.

ეს კარავი წარმოადგენდა მთელი ეგრეთწოდებული შმიდტის ბანაკის მამამთავარს: ამ კარავში პირველად იქნენ მოთავსებული ქალები და ბავშვები, როცა გემი ჩაიძირა და გაიშალა მისი ევაკუაცია.

ჩვენს მუშაობაში მეცნიერება და პრაქტიკა უშუალოდ უკავშირდებიან ერთმანეთს და ეჭვს გარეშეა, რომ გემის ჟურნალის ზუსტი ჩანაწერები რომლებსაც აწარმოებდა კაპიტანი ვორონინი თავისი თანაშემწე — შტურმანებთან ერთად, აგრეთვე წარმოადგენს სერიოზულ განძს პოლარულ მეცნიერებაში.

„ჩელუსკინის“ რეისი მთლიანად, აგრეთვე ჩვენი გადამრჩენ მფრინავების ბრწყინვალე გადაფრენა უაღრესად აფართოებენ ჩვენს ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას ჩრდილოეთის დაუფლების საქმეში. მიმდინარე წლის კამპანიაში ჩვენ შევეცდებით გაცილებით უფრო უკეთ შეიარაღებული, რათა დავძლიოთ უკანასკნელი დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს გვიშლიან აღმოვაჩინოთ ჩრდილოეთის საზღვაო გზა პრაქტიკული ნაოსნობისათვის.

დასასრულ არ შემიძლია ულრმესი მადლობა არ გამოვუცხადო პარტიის ცენტრალურ ორგანოს — „პრავდას“ და მისი ხაზით მთელ საბჭოთა პრესას ჩვენი ლაშქრობის შესახებ ინფორმაციის ბრწყინვალე ორგანიზაციისათვის, ჩვენთან დახმარების გაწევისა და იმ უნარიანობისთვის, რომლითაც მან შეძლო მთელი ამ საქმის დაყენება უდიდეს პოლიტიკურ სიმაღლეზე.

ჩვენთვის უდიდეს სიხარულს წარმოადგენდა საკ. დეპეშათა სააგენტოს ყოველდღიური ინფორმაცია, რაც სპეციალურად ჩვენთვის იწერებოდა და საშუალებას აძლევდა ბანაკის მოსახლეობას ყოფილიყო მსოფლიო მოვლენების და ჩვენი მშენებლობის წარმატებათა კურსში.

რადიოს ეკონომია და ჩრდილოეთის ქსელის დატვირთვა ოპერატიული მუშაობით ჩელუსკინელთა გადასარჩენად გვაიძულებდენ ჩვენ საშუალებით შეგვეწყვიტა კერძო დეპეშების მიღება და ძალზე შეგვეზღუდა მისალმებათა გადაცემა, რომლებსაც, როგორც ჩვენ ბოლოს გავიგეთ, ასობით გვიგზავნიდენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი კუთხიდან. თვითეული ასეთი დეპეშა, რომლებიც კი ჩვენამდე აღწევდა გვამხნევებდა ახალ ენერგიას, დახმარებას გვიწევდა გვეგრძნო და შეგვეგნო, რომ სამშობლო ჩვენ გვეხმარება, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ, რომ ჩვენ ვართ დიდი საბჭოთა კავშირის შვილები.

(„პრავდა“, 7 ივნისი)

წითელმა მფრინავებმა იციან რისთვის იბრძვიან ისინი

მოსკოვი, 8 ივნისი. საბჭოთა კავშირის 7 გმირი მფრინავის წერილი*).

სალამი პარტიის ცენტრალურ ორგანოს —„პრავდას“, სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმისთვის მედგარ მოწინავე მებრძოლს. სიტყვას ვაძლევთ პარტიასდა მთავრობას, რომ ჩვენს შემდგომ მუშაობაში ყოველთვის ისევე მედგრად და შეუპოვრად ვიბრძოლებთ, როგორც ვიბრძოდით ჩვენ და საბჭოთა თვითმფრინავები შორეულ ჩრდილოეთში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ავიაციის ძლიერება ურყევია.

წითელმა თვითმფრინავებმა იციან რისთვის იბრძვიან ისინი ამაშია მათი გამარჯვების საწინდარი.

პარტიის და მთავრობის პირველ დაძახებისთანვე ჩვენი თვითმფრინავები ყოველ წამში მზად არიან აფრინდენ ჰაერში. ჩვენი საზღვრების ხელშეუხლებლობის დასაცავად, ჩვენ სამშობლოს დასაცავად ათასობით აფრინდებიან მძლავრი საბჭოთა თვითმფრინავები. თვითეული თვითმფრინავი ჩაიდენს საგმირო საქმეს, თვითეული მფრინავი იქნება გმირი.

ბოლშევიკური პარტიის რკინისებური კოგორტის და პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით შოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია.

სლეპნევი, ლიაპიდევსკი, დორონინი, კამანინი, ვ. მოლოკოვი, ს. ლევანევსკი, ვოდოპიანოვი.

---

*) მოტანილია კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან თვითმფრინავით.

ავიღოთ მოსავალი დროზე და უდანაკარგოდ

76 კომბაინი

იმუშავებს მოსავლის აღებაზე შირაქში

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობაში წელს მოსავლის აღებაზე იმუშავებს 76 კომბაინი (შარშან მუშაობდა 40), 21 თვითმკვრელი და 100-მდე ტრაქტორი.

თვითმკვრელებით მოსავალი აღებულ იქნება 400 ჰექტარზე, ხოლო კომბაინებით 9.787 ჰექტარზე. თვითმკვრელები მუშაობას დაიწყებენ 1 ივლისს, ხოლო კომბაინები 10 ივლისს.

კომბაინებით მოსავლის აღება **13 სამუშაო დღეში უნდა დამთავრდეს**—ასეთია ამოცანა.

ამ საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის შირაქის საბჭოთა მეურნეობა (**დირექტორი ამხ. შ. ალავერდაშვილი**) გაცხოველებით ემზადება.

მოსავლის ასაღები მანქანების შეკეთება აქ ძირითადად უკვე დამთავრებულია, 40 ძველი კომბაინის შეკეთება და 36 ახალი კომბაინის აწყობა მეურნეობამ ვადაზე (15 ივნისი) 15 დღით ადრე—1 ივნისისათვის დაამთავრა. **დღეს უკვე ყველა კომბაინი წესრიგშია მოყვანილი.**

მეურნეობაში არსებულ 70 ტრაქტორიდან (მეურნეობამ დამატებით უნდა მიიღოს 29 ტრაქტორი) 6 ივნისისათვის შეკეთებული იყო 60 ტრაქტორი.

შეკეთების ცუდი ხარისხის გამო დირექციამ არ მიიღო პირველი ბრიგადის 10 ტრაქტორი და აიძულა ბრიგადა ეს ტრაქტორები ხელმეორედ შეეკეთებია. საქმის დაჩქარების მიზნით მეურნეობამ პირველ ბრიგადას დაახმარა სხვა ბრიგადების მექანიკოსები.

პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი ს. ოგმაიძე და მექანიკოსი დიანენკო მოხსნილი არიან სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში რემონტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის.

ტრაქტორები ყველაზე ადრე და ყველაზე უკეთ შეაკეთეს მექანიკოსებმა მ. ლაზარიშვილმა და ქ. კოსოვმა. კომბაინების საუკეთესოდ შეკეთებით თავი ისახელეს მექანიკოსებმა ს. ქისტაურმა და მ. ერშოვმა.

წესრიგშია მოყვანილი აგრეთვე სალეწი მანქანები და თვითმკვრელები.

მეურნეობას აქვს 14 ავტომანქანა აქედან შეკეთებულია 10. დანარჩენების შეკეთება ფერხდება სათადარიგო ნაწილების უქონლობით. დირექციამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს, შეიძინოს სათადარიგო ნაწილები, რომ მოსავლის აღებისათვის წესრიგში იქნეს მოყვანილი მთელი ავტოტრანსპორტი.

კვალიფიციური კადრებით მეურნეობა უზრუნველყოფილია. კომბაინერების და შტურვალების მოსამზადებლად გახსნილია სპეციალური კურსები, რომელზედაც სწავლობს 108 კაცი. ესენი მეურნეობის საუკეთესო ტრაქტორისტები და ხელოსნები არიან. კურსების მეცადინეობა 10 ივნისს დამთავრდება. ახლად კურს დამთავრებულები მოსავლის აღების დაწყებამდე მიიღებენ საწარმოო პრაქტიკას კომბაინის მთლიანად დაუფლებისათვის.

ყველა ეს სამუშაოები მტკიცე გეგმის თანახმად წარმოებს. მეურნეობის დირექციას შედგენილი აქვს მოსავლის აღების კონკრეტული კალენდარული გეგმა.

მეურნეობა 3 უბნად არის დაყოფილი. თვითეულ უბანზე მიმაგრებულია ორი სატრაქტორო ბრიგადა აგრონომ — მექანიზატორების ხელმძღვანელობით. თვითეული სატრაქტორო ბრიგადა დაყოფილია რგოლებად (სულ 21 რგოლია). სატრაქტორო ბრიგადაში იმუშავებს 12-14, ხოლო რგოლში 3—5 კომბაინი.

ბრიგადები და რგოლები მიმაგრებული არიან გარკვეულ ნაკვეთზე, გეგმაში ისიც კი გათვალისწინებულია თუ რომელ ნაკვეთზე რომელი კომბაინი იმუშავებს. გამზადებულია აგრეთვე გამომუშავების ნორმები.

მოსავლის აღების გეგმა ჯერჯერობით მხოლოდ სპეციალისტების საწარმოო თათბირზე დამუშავდა. მეურნეობის ხელმძღვანელობამ ეს გეგმა დაუყოვნებლივ უნდა გააცნოს თვითეულ მუშას, ბრიგადის თვითეულ წევრს.

არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბეღლების მშენებლობა. 6 ივნისისათვის **ბეღლების მშენებლობის გეგმა** (სულ 6 ბეღელი უნდა აშენდეს) **მხოლოდ 25 პროცენტით იყო შესრულებული.** მშენებლობა ხე-ტყის უქონლობით ფერხდება. სამტრესტმა დაჩქარებით უნდა მოაწოდოს შირაქის მარცვლეულის მეურნეობას საჭირო ხე-ტყის მასალა. მეურნეობის დირექციამ კი უნდა მიიღოს ზომები ადგილობრივი საშენი მასალის მობილიზაციისა და ბეღლების მშენებლობის დაჩქარებისათვის.

მოსავალი აქ წელს ბევრად უკეთესია, ვიდრე შარშან იყო. ეს გარემოება მეურნეობის ხელმძღვანელობას ავალებს **გაითვალისწინოს გასული წლის გამოცდილება და საქმე ისე მოაწყოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღება.**

ამასთან ერთად მეურნეობის დირექცია ეხლავე უნდა შეუდგეს მზადებას, რომ **მარცვლეული სახელმწიფოს მთლიანად დაწესებულ ვადებში ჩააბაროს.**

ვ. ფოჯრალაშვილი

შირაქი, 6 ივნისი.

საქართველოში დაიწყო თივის აღება

საქართველოს დაბლობი რაიონები შეუდგნენ თივის აღებას. **თივის აღება დაწყებულია 6 რაიონში სახელდობრ —გორის, კასპის, სიღნაღის, ყვარელის, ტფილისის და ალბულაღ-მანგლისის რაიონებში.**

5 ივნისისათვის თივა აღებული იყო სულ 382 ჰექტარზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ თემაზე

თანამგრძნობთა ჯგუფებს—კონკრეტული ხელმძღვანელობა

საუკეთესო დამკვრელი მუშები, რომლებიც შევიდნენ თანამგრძნობთ ჯგუფებში; სურათზე: მარცხნიდან მარჯვნით: ამხ. ალ. ეგოროვი, სერგო ტალუროვი; ივ. გრიშკოვი („26“ ქარხნიდან); ვლ. ხელაძე და გრ. გულავა (კალინინის სახ. ქარხანა)

თანამგრძნობთა პირველი ჯგუფი ქარხანაში

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციამ, სანამ იგი თანამგრძნობთა ჯგუფების ჩამოყალიბებას შეუდგებოდა, წინასწარ (აპრილის თვის ბოლო რიცხვებში), ჩაატარა ერთიანი პარტდღე. ღია პარტკრებებზე დამუშავდა როგორც პარტიის ახალი წესდების ნაწილი თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის შესახებ ისე „პრავდის“ 26 აპრილის მოწინავე წერილი.

თანამგრძნობთა პირველი ჯგუფი შეიქმნა ამწყობ საამქროში, სადაც 160 კომუნისტია, ამდენივე კომკავშირელი და 400-ზე მეტი დამკვრელი უპარტიო მუშა.

ამწყობ საამქროში ჩამოყალიბდა თანამგრძნობთა პირველი ჯგუფი, რომელშიაც ამჟამად 5 კაცი ითვლება.

ვინ მიიღეს ამ ჯგუფში? პატიოსანი და პარტიის ერთგული ადამიანები, **„რომლებმაც ეს ერთგულება დაამტკიცეს საქმით** — დამკვრელური კეთილსინდისიერი მუშაობით საამქროში“.

პირველი განცხადება თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების შესახებ საამქროს პარტორგ ამხ. მელიქოვთან შეიტანა ამხ. **ნიკ. ჩახავამ**. იგი ხელობით ზეინკალია, აქვს 30 წლის საწარმოო სტაჟი. საუკეთესო დამკვრელი ბრიგადირია და მისი ბრიგადაც მოწინავედ ითვლება მთელ საამქროში. სამუშაო დღის დატვირთვა მთელი 420 წუთით.

კიდევ უფრო მდიდარი წარსული აქვს თანამგრძნობთა ჯგუფში ჩარიცხულ ამხ. **პ. ბროძელს**. 40 წელიწადია, რაც მუშაობს წარმოებაში; იგი უმაღლესი კვალიფიკაციის ხელოსანია; ამხ. ბროძელის საზრუნავ საგანს წარმოადგენს სოციალისტური ტრანსპორტისათვის ჯანსაღი ორთქლმავლის მიწოდება. იგი იბრძვის ამისათვის და ღირსეულ შედეგსაც აღწევს. ავტომუხრუჭის ვარგისიანობა აქამდი ორთქლმავალზე უნდა გამოეცადათ; ეს აძნელებდა მუშაობას და ახანგრძლივებდა ორთქლმავლის დგომას შეკეთებაში. ამხ. ბროძელმა ბრიგადირ ბლახთან, და ტიშერაშვილთან ერთად მოაწყეს ავტომუხრუჭის გამომცდელი სადგური, რითაც საგრძნობი გაუმჯობესება შეიტანეს მუშაობაში. მან ტექნიკის დაუფლების წრეში საუკეთესო სწავლებით „ფრიადზე“ ჩააბარა საზოგადოებრივ - ტექნიკური გამოცდა.

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ასეთსავე საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან თანამგრძნობთა ჯგუფში შემავალი დანარჩენი წევრები. ამხ. **ვასო ვაშაკიძე; არჩილ დონგუზაშვილი**, საუკეთესო დამკვრელი ბრიგადირი, ყველა დავალებას ზუსტად და მაღალი ხარისხით ასრულებს. მისი ბრიგადა, რომელიც ვესტენგაუზის სისტემის ავტომუხრუჭზე მუშაობს, სისტემატიურად აჭარბებს გეგმით მიცემულ სამუშაოებს. იგივე ითქმის ზეინკალ ამხ. **იოსებ მამუჩაიშვილზე**.

მაგრამ თანამგრძნობთა ჯგუფში ჩაბმული ამხანაგების უმეტესობას, თუ მოწინავე ადგილი უჭირავთ, საწარმოო ფრონტზე, სამაგიეროდ ისინი ჩამორჩებიან პოლიტიკური მომზადების მხრივ. მართალია, თვითეული მათგანი უკლებლივ ესწრება პოლიტსკოლების მეცადინეობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა ამ ჯგუფს ცალკე გამოუყონ პროპაგანდისტი, რათა მათ საფუძვლიანად შეისწავლონ პარტიის წესდება, პარტიის ისტორია და მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებანი.

ვ. გალდავა.
ჟ. ბასილაშვილი.

მოდიან პარტიის ახალი თანაშემწეები

(ტფ. მაუდის ფაბრიკა)

„ყოველ დღის მივიღებთ თანამგრძნობთა ჯგუფში ისინი არიან ჩვენი ფაბრიკის საუკეთესო დამკვრელები, რომლებიც ყოველთვის მაღალი ხარისხით ასრულებენ საწ.-საფ. გეგმებს, ჩაბმული არიან საზოგადოებრივ სამუშაოებში და წარმატებით სწავლობენ პოლიტსკოლებში“ — ასე განაცხადა საქსოვ საამქროს პარტორგანიზატორმა ამხ. **ჯვარიძემ** 5 ივნისს, პარტორგანიზაციის ღია კრებაზე, სადაც დამუშავდა თანამგრძნობთა ჯგუფების შექმნის და მათთან მუშაობის საკითხი. კომუნისტების და კომკავშირელების გარდა ამ კრებას ესწრებოდნენ მაუდის ფაბრიკის საქსოვ-საამქროს უპარტიო მუშები.

— პირველად განცხადება თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების შესახებ შემოიტანა საქსოვ საამქროს მუშამ ამხ. **გიორგი სოლომნიშვილმა**, რომელიც ამ საამქროში 1927 წლიდან მუშაობს.

პარტმიმაგრებულმა ამხ. მარო მჭედლიშვილმა ამხ. სოლომნიშვილი კრებაზე დაახასიათა როგორც პატიოსანი და პარტიის ერთგული ადამიანი, ეს ერთგულება მან დაამტკიცა საქმით, დამკვრელური კეთილსინდისიერი მუშაობით საამქროში. ამხ. სოლომნიშვილი ერთხმად მიიღეს თანამგრძნობთა ჯგუფში.

მეორე განცხადება თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების შესახებ შემოტანილი აქვს ამხ. **შურა ხუციშვილს**. ამხ. შურა ხუციშვილი — საუკეთესო დამკვრელი ქარგალი, მას იცნობენ არა მარტო საქსოვი საამქროს მუშები, არამედ მთელი მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები როგორც აქტიურს, ენერგიით სავსე მუშაკს. პარტიული ორგანიზაციის მიერ მიმაგრებული კომუნისტი ამხ. **კვანტალიანი**, ერთი თვის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა ამხ. ხუციშვილის მუშაობას, სწავლობდა მას ყოველმხრივ და ამავე დროს ყოველგვარ დახმარებას უწევდა რათა ამხ. შ. ხუციშვილს კიდევ უფრო აემაღლებია თეორიული ცოდნა, გაეუმჯობესებია მუშაობის ხარისხი, გამხდარიყო ყოველმხრივ მისაბაძ მუშაკად.

პარტმიმაგრებულის დაუზარებელი კონკრეტული ხელმძღვანელობით ამხ. შ. ხუციშვილი კიდევ უფრო დაწინაურდა. და ახლა, როდესაც პარტიულ ორგანიზაციასთან მოვიდა თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების, განცხადებით უკვე მზად არის ჯგუფში მუშაობისათვის. ამხ. შურა უყოყმანოდ მიიღეს თანამგრძნობთა ჯგუფში.

ამ დღეს საქსოვ-საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ თანამგრძნობთა ჯგუფში მიიღო კიდევ ორი მოწინავე დამკვრელი მუშა ქალი: ამხ. **დრიაშვილი** და **კობახიძე**, რომლებსაც ქარხანაში მუშაობის დიდი სტაჟი აქვთ. ისინი საუკეთესოდ მეცადინეობენ როგორც ტექდაუფლების წრეებში, აგრეთვე პოლიტსკოლებში.

თანამგრძნობთა ჯგუფის მუშაობა სრულიად ახალი საქმეა მაუდის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციისათვის. თანამგრძნობთა ბოლშევიკური აღზრდა დიდი და პასუხსაგები ამოცანაა. მათზე ხელმძღვანელობა ევალება არა მარტო თანამგრძნობთა პარტიულ ორგანიზატორს, არამედ პროპაგანდისტებს და მთელ პარტიულ ორგანიზაციას. ისინი მთლიანად პასუხისმგებელნი არიან თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობისა, თვითეული თანამგრძნობის მიღებისა და იდეური შეიარაღებისათვის.

ალ. გვინჩიძე

ბორჯომის სადგური ემზადება სეზონისათვის

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ზაფხული მოდის.

რამოდენიმე დღე და ბორჯომისაკენ მასობრივად დაიძვრებიან მშრომელები. არაჩვეულებრივ დაიტვირთება რკინისგზა. ბორჯომისა და ბორჯომ-ბალის სადგურებს მოაწყდებიან მგზავრთა ათასები.

ამასთან დაკავშირებით სადგურების ხელმძღვანელთა წინაშე დიდი ამოცანა დგას. ამოცანა შენობათა გადაკეთების, მათი საფუძვლიანი რემონტისა. რემონტი პირველ მაისს უნდა დამთავრებულიყო (ასეთია გზის უფროსის ბრძანება), მაგრამ იგი დაახლოებით 15—20 დღეს კიდევ ვერ დამთავრდება, ვინაიდან მეხუთე, საამშენებლო უბანი (უფროსი **ლევან ხაჩიძე**) საქმეს კარგად ვერ ხელმძღვანელობს.

გვიანდება სადგურის კეთილმოწყობა, რომელიც გულისხმობს, საპირფარეშოს გაფართოებას, სადგურის შენობის გადახურვას (ამჟამად ყოველი გაწვიმებისას დარბაზში წყალი ჩამოდის) და სადგურის ტერიტორიის შემოღობვას (ახლა პერონზე ერთმანეთში ირევა ხალხი და პირუტყვი). ეწყობა საზაფხულო ბაღი რკინისგზის ზოლში. ბორჯომ-ბალში აწყობენ ხელბარგის შესანახველ კამერას და საზაფხულო პავილიონს, რისთვისაც მცენარეები უკვე შეძენილია.

წელს ჩატარდა სადგურების, კერძოდ საქონლის სადგურის გენერალური დასუფთავება. ინიციატივა ეკუთვნის სადგურის უფროსად ამ რამდენიმე თვის წინად დანიშნულს ამხ. **სიმონ მეტრეველს**, რომლის მოსვლამდე აქაურობა სიბინძურეში იყო ჩაფლული. **უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში სადგურის ტერიტორიიდან გაიტანეს 150 ვაგონი ნაგავი.**

დასუფთავება ჩატარდა ერთი მხრივ სადგურის ძალებით (შაბათობით სამჯერ) და მეორე მხრივ სარაიონო ორგანიზაციების ფულადი დახმარებით. მათ ამ საქმისათვის გადასცეს სადგურს სულ 3 ათასი მანეთი.

უნდა აღინიშნოს ბორჯომის პარტრაიკომის (მდივანი ამხ. **ცხოვრებაშვილი**) და რაიაღმასკომის (თავმჯდომარე ამხ. **ჭიჭინაძე**) განსაკუთრებული ყურადღება ტრანსპორტისადმი. მათ იკისრეს, ასფალტით მოფინონ სადგურში მისავალი გზა ქალაქის მხრიდან და გაიყვანონ იქ წყაროს წყალი (დღემდე სადგურში მდინარის წყალს ხმარობდენ). მათვე იკისრეს სადგურ ბორჯომ-ბალში ორი ოთახის უზრუნველყოფა რბილი მოწყობილობით და დგამებით. ოთახები გამოყოფილია მთავრობის წევრთა და ტურისტებისათვის.

ნ. პაიჭაძე.

მეთავეების მიერ საზეინკლო სტაჟის გავლის საქმე საფრთხეშია

ამჟამად ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე მთავარ მიზეზს შემთხვევებისას წარმოადგენს ბუქსის წვა და ამის გამო ვაგონების მოხსნა. ეს მოვლენა გამოწვეულია ხშირად მეთავეების უპასუხისმგებლო მუშაობით საერთოდ კი მისი მთავარი მიზეზია მეთავეების დაბალი კვალიფიკაცია, მათ მიერ საზეინკლო საქმის უცოდინარობა. ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიაქცია რკ. გზის ტრანსპორტის ხელმძღვანელობამ და გადასწყვიტა: **„არც ერთი მეთავე, რომელსაც არ ექნება ზეინკლის თანაშემწის კვალიფიკაცია არ უნდა მუშაობდეს რკ. გზის ტრანსპორტზე“**. ამასთან დაკავშირებით ყველა დეპოში გაშლილია მუშაობა მეთავეების ზეინკლის თანაშემწეებად გადასამზადებლად.

ტფილისის სავაგონო დეპოში სამატარებლო გუნდების 167 მეთავეა, ამათგან ზეინკლის თანაშემწის კვალიფიკაცია მხოლოდ 69 კაცს ჰქონდა. 88 მეთავე კი საჭიროებდა ზეინკლის თანაშემწედ გადამზადებას. მათ გადასამზადებლად დეპოს პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართო მასობრივი მუშაობა ჩაატარეს, მეთავეები გაანაწილეს 9 ჯგუფად, გამოყვეს კურსების ხელმძღვანელად დამკვრელი ზეინკალი **მ. მაკარაშვილი** და მიუჩინეს მათ სამეცადინო ადგილი.

მაკარაშვილის მონდომებული და ენერგიული მუშაობით 1 თვის განმავლობაში ზეინკლის თანაშემწედ გადამზადდა 17 მეთავე. ამათგან სწავლის დიდი სურვილი გამოიჩინეს და გამოცდა „ფრიადზე“ ჩააბარეს: **ამხ. გ. გაბაიანმა, ლ. სარუხანოვმა, ა. დენისენკომ, მ. ბოგველმა, დ. ვასალიძემ და ფ. გენგიურმა.** დანარჩენმა 10 მეთავემ გამოცდა „კარგზე“ და „დამაკმაყოფილზე“ ჩააბარის, ხოლო ერთმა **ა. გაბროვსკიმ** — „სუსტზე“.

მაგრამ მარტო მაკარაშვილის ღონისძიებანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დროზე გადამზადდეს 9 ჯგუფად დაყოფილი 88 კაცი. დეპოს ხელმძღვანელები არ იჩენენ საჭირო უნარიანობას ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მათ ვერ შესძლეს, მაგ., მეთავეთა მესამე ჯგუფის მთელი შემადგენლობის (10 კაცი) გაგზავნა სამხრეთ ფარეხში მოსამზადებლად და გაგზავნეს მხოლოდ 5 კაცი. ასეთი უყურადღებობა დანაშაულს უდრის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დეპოს სჭირდება 250 მეთავე და ჰყავს მხოლოდ 167. მეთავემ მატარებელზე 20 საათის მუშაობის შემდეგ 40 საათი უნდა დაისვენოს, მაგრამ ტფილისის სავაგონო დეპოში ასე არ ხდება. აქ 20 საათის მუშაობის შემდეგ მეთავეები მხოლოდ 12 საათს ისვენებენ.

აღსანიშნავია აგრეთვე მეთავეთა კადრების დენადობაც. 5 დღის განმავლობაში დეპოს 5 მეთავე მოაკლდა რა იწვევს ამ ცვალებადობას? არადამაკმაყოფილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებზედაც არ ზრუნავს დეპოს ადმინისტრაცია.

ამჟამად დეპო ხელშეკრულების ძალით, სამტრედიის რკ. გზის საფ. საქ. სკოლიდან მიიღებს 40 კურსდამთავრებულ მოწაფეს, რომლებიც მეთავეებად იმუშავებენ. ამ 40 კაცისათვის მზადდება საერთო საცხოვრებლად 2 დიდი ვაგონი. ეს არ კმარა. საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, რომ შესაძლებელი გახდეს დეპოს უზრუნველყოფა მეთავეთა მტკიცე კადრებით.

მოუთმენელია ის გარემოება, რომ ზეინკლის თანაშემწის კვალიფიკაცია 88 მეთავიდან მიღებული აქვს მხოლოდ 21 კაცს.

ეს ფაქტი იწვევს იმის საშიშროებას, რომ უმაღლესი ორგანოების დადგენილება 1934 წელში ყველა მეთავის გადამზადების შესახებ ზეინკლის თანაშემწის კვალიფიკაციის მისაღებად 6 თვის საზეინკლო სტაჟის გავლით შეუსრულებელი დარჩება. დეპოს ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნას ამ მიმართულებით თავისი მუშაობა.

მ. აროშიძე

პრესის მიმოხილვა

„პოლიტგრამის“ შემდეგ

„სოციალიზმის მშენებელი“ (ხობი)

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ხობის სარაიონო გაზეთს იაგვიანებით დაეწყოს მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა პროპაგანდის მიმდინარეობის გაშუქება. ამ თემაზე პირველი მასალა დაიბეჭდა გაზეთის 20 თებერვლის ნომერში („პროპაგანდისტის ტრიბუნა“). ზოგიერთი სარაიონო გაზეთისათვის ეს არც თუ ისეთი დაგვიანებაა, განსაკუთრებით „სოციალიზმის მშენებლისათვის“, რომელიც თვეში მხოლოდ ორიოდე ნომრის გამოცემას ახერხებს. სამაგიეროდ, შეიძლება ითქვას, რომ **გაზეთმა თავიდანვე ყალბი ტონი აიღო პარტგანათლების ქსელის და მისი ძირითადი რგოლის — პროპაგანდისტის — მუშაობის გაშუქების საქმეში.**

> **„კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ პოლიტსწავლების რიცხვობრივი (! — რედ.) და ხარისხობრივი მაჩვენებლები“.**

ასეთი ანშლაგის ქვეშ ათავსებს „სოციალიზმის მშენებელი“ საუბარს „დამკვრელ პროპაგანდისტებთან“. ამ საუბრიდან მკითხველი ბევრ საინტერესო ამბავს გებულობს. მაგალითად, პროპაგანდისტ მ. ბუსქანიძის ინიციატივით

> „ხეთა-მუხნის კოლმეურნეობის დაწყებითი პოლიტწრეში... ჩატარებულია პოლიტ-ლატარია 2-ჯერ, გამოშვებულია 2 აკადემიური (!! — რედ.) კედლის გაზეთი“.

ხეთის ტექნიკუმის № 3 უჯრედის პროპაგანდისტი **ნ. ლაშხია** არ დაკმაყოფილდა პოლიტ-ლატარიის ორჯერ ჩატარებით, არც „აკადემიური“ კედლის გაზეთის გამოცემით და მოაწყო „პ.-დაჭერა“.

გაზეთის იმავე ნომრიდან ვგებულობთ, რომ ბუსქანიძეს და ლაშხიას ოდნავადაც არ ჩამორჩება „ხობის პ. ტ. ათწლედის № 3 კ. კ. ორგანიზაციის ლენინიზმის წრის პროპაგანდისტი **ნ. თათარიშვილი**“, რომელსაც ერთდა იმავ დროს მოუწყვია „პოლიტ-ლატარეიაც“, „პოლიტ-დაჭერაც“ და გამოუცია „აკადემიური“ კედლის გაზეთიც.

სამაგიეროდ ამ საუბრიდან „დამკვრელ პროპაგანდისტებთან“ მკითხველი ბევრ რამეს ვერ გაიგებს. ვერ გაიგებს, მაგალითად:

რამდენად არის ჩაბმული პარტიული და უპარტიო მასა ყრილობის მასალების შემსწავლელ წრეებში;

არის თუ არა დაცული პოლიტსკოლების დაკომპლექტების დროს დიფერენცირებული მიდგომა მსმენელებისადმი მათი პოლიტიკური ცოდნის დონის მიხედვით;

როგორია პროპაგანდისტების კვალიფიკაცია.

ამოწმებს თუ არა რაიკომი პოლიტსკოლების მუშაობას და უწევს თუ არა ოპერატიულ დახმარება-ხელმძღვანელობას ამ დარგში პირველად პარტორგანიზაციებს და პროპაგანდისტებს;

როგორია ყრილობის მასალების დამუშავების და მსმენელების მიერ ამ მასალების შეთვისების ხარისხი და სხვ.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ღრმად და მაღალხარისხოვნად შესწავლის ნაცვლად გარეგნული ხმაურისა და სასპორტო აზარტისათვის („პოლიტლატარეია“, „პოლიტდაჭერა“) გამოდევნების პრაქტიკას ხობის სარაიონო გაზეთი შემდეგშიაც განაგრძობს. გაზეთს დიდ მიღწევად მიაჩნია ის გარემოება, რომ **დღვანის** პირველად საკოლმეურნეო და ტერიტორიალურ პარტკომკავშირულ ორგანიზაციების პოლიტწრეებში

> **„გაშლილია ჯგუფური და ინდივიდუალური სოცშეჯიბრება. ეწყობა: პოლიტლატარეა, პოლიტომი, გამოდის აკადემიური კედლის გაზეთი და სხვ.“** („ს. მ.“ № 3).

„სოციალიზმის მშენებელის“ შემდეგმა ნომრებმა (აპრილი-მაისი) ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ხობის სარაიონო გაზეთის მუშაობის ხასიათზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის, „პრავდა“-ს და რესპუბლიკური პრესის გალაშქრებას ბოლშევიკური პროპაგანდის უშინაარსო ლაყბობად გადაქცევის ფაქტების წინააღმდეგ.

9 მარტის ნომერში „პრავდა“ ათავსებს მოწინავე წერილს — „შევაიარაღოთ იდეურად, უკეთესად ვიმუშაოთ“. 10 მარტის გაზეთებში ქვეყნდება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის დადგენილება „გაზეთების მიერ მე-17 პარტყრილობის შედეგების გაშუქების შესახებ“. 11 მარტს „პრავდა“ ბეჭდავს პრესის მიმოხილვას — „ბოლშევიკური პროპაგანდა და გულმავიწყი რედაქტორები“. ყველაფერი ეს ითარგმნება და იბეჭდება ჩვენს რესპუბლიკურ პრესაში. 12 აპრილის მოწინავე წერილში **„კომუნისტმა“** ამხილა საქართველოს მთელ რიგ რაიონებში პარტორგანიზაციების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ყრილობის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური პროპაგანდისადმი.

ხობის სარაიონო გაზეთი ყრუ დარჩა ყველა ამ მითითებისადმი.

16 აპრილის ნომერში „სოც. მშენებელს“ მოჰყავს ამონაწერი ხობის ათწლედის კ. კ. ორგანიზაციის კრების ოქმიდან:

> „**მოისმინეს:** მე-17 პარტყრილობის შედეგები (მომხს. ნ. თათარიშვილი) ამხ. შეეხო მთელ რიგი იმ საკითხებს, რომელიც არის მოცემული ამხ. სტალინის, მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებაში.
>
> **დაადგინეს:** მოხსენება ამხ. თათარიშვილის მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ“.

გაზეთი სამართლიანად არის აღშფოთებული ამ „ზერელე დადგენილებით და ლაყბობით“, მაგრამ რით არის უფრო „ღრმა და კონკრეტული“ ის მასალა, რომელსაც, მაგალითად, თვით „სოც. მშენ.“ ათავსებს გაზეთის მე-3 ნომერში:

> „მეცადინეობა დაიწყო **თავის დროზე** (ლაპარაკია ხეთის სას.-სამ. მეურნ. ტექნიკუმის პოლიტწრეებზე. — რედ.), **გაშლილია** სოცშეჯიბრი, როგორც წრეებს, ისე მსმენელებს და პროპაგანდისტებს შორის, **გამოშვებულია** აკად. კედლგაზეთები და **ჩატარებულია პ.-ლატარეია**. ხდება პერიოდულად შეჯიბრების შემოწმება. პ.-წრეებს **ჰყავს** სწავლის დამკვრელები, რომელნიც დაჯილდოვებულნი არიან **სხვადასხვა** ლიტერატურით. საჭიროა პ.-სწავლება [illegible] ავიყვანოთ მაღალ საფეხურზე“ (ხაზგასმა ჩვენია. რედ.).

თუ „ზერელობასა“ და „ლაყბობაზე“ მიდგება საქმე, „სოციალიზმის მშენებელი“ პირველობას ვერას შემთხვევაში ვერ დაუთმობს ხობის ათწლედის კ. კ. ორგანიზაციის კრების ზემოთმოყვანილ ოქმს.

22 აპრილის გაზეთებში გამოქვეყნდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ცნობილი დადგენილება „მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების შესახებ“. 23 აპრილის ნომერში „პრავდამ“ ამ დადგენილებას უძღვნა მოწინავე წერილი — „არ შევცვალოთ ბოლშევიკური პროპაგანდა ხმაურითა და გაზეპირებით“.

„სოციალიზმის მშენებელის“ 1 მაისის ნომრიდან სრულიად არ ჩანს, რომ ხობის სარაიონო გაზეთმა რაიმე ისწავლა პარტიის ც. კ-ის დადგენილებისა და „პრავდას“ მითითებებისაგან.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური პროპაგანდის ოპერატიული გაშუქების ნაცვლად გარეგნული ხმაური და სასპორტო აღტყინება, ცალკე პოლიტსკოლების, ცალკე პროპაგანდისტების მუშაობის შესწავლის, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციის და ჩამორჩენილთა მხილების ნაცვლად „საერთო“ ლაპარაკი — ასეთ დასკვნამდე მიგვიყვანა „სოც. მშენებელი“-ს ოთხი თვის მუშაობის შემოწმებამ.

რაიონულმა პრესამ შეუნელებელი ბრძოლა უნდა აწარმოოს არა მარტო პარტსწავლების ორგანიზებისათვის (მსმენელთა და პროპაგანდისტთა გაცდენის სრული აღმოფხვრა, მეცადინეობის უზრუნველყოფა ბინით, განათებით, ლიტერატურით, რუკებითა და დიაგრამებით), არამედ პარტგანათლების ქსელის ცენტრალური ფიგურის — პროპაგანდისტის — მაღალი კვალიფიკაციისათვის, პარტსწავლების სწორი მეთოდიკისათვის, მსმენელთა მიერ ყრილობის მასალების მაღალხარისხოვნად შეთვისებისათვის.

რაიონულმა პრესამ და, კერძოთ, „სოც. მშენებელმა“, უნდა გაამახვილოს ყურადღება, რათა მე-17 პარტყრილობის დადგენილებათა პროპაგანდა მჭიდროთ იქნას დაკავშირებული **კონკრეტულ საწარმოო ამოცანებთან.**

რაიონული პრესა სისტემატიურად უნდა აშუქებდეს, როგორც პოლიტსკოლების მუშაობის, ისე პარტორგანიზაციების და, კერძოთ, ინსტრუქტორების ხელმძღვანელობა-დახმარების შემოწმებას რადგან მუშაობის „გარდაქმნის დროს პროპაგანდა ხშირად მეთვალყურეობიდან ეპარებათ პარტკომებს და ინსტრუქტორებს... ინსტრუქტორები არ იცნობენ პროპაგანდისტებს, არ დაიარებიან სკოლაში, არ არიან დაინტერესებული იმით, თუ როგორ წარმოებს იდეურ-პოლიტიკური აღზრდა კომუნისტებისა, რომლებსაც მათ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ“ („პრავდა“).

ასეთია ბოლშევიკური პროპაგანდის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის უმთავრესი პირობები. ეს პირობები მტკიცედ უნდა დაიცვას „სოც. მშენებელმა“.

რედაქტორისა და კორექტორების შესახებ

„კედლის გაზეთებმა უნდა უზრუნველყონ წინაშე (?) მდგომ ამოცანათა რეალიზაციაზე კონკრეტული ხელმძღვანელობა“.

ეს ფრაზა ამოღებულია ონის სარაიონო გაზეთ „სოციალისტური მშენებლობის“ № 15-დან. ესაა არა ჩვეულებრივი წინადადება ტექსტში, არამედ მთელ გვერდზე გაშლილი **ანშლაგი!** რა უნდა ისწავლონ კედლის გაზეთებმა ასეთი სარაიონო გაზეთისაგან, რომელსაც არ შეუძლია ანშლაგი მაინც დაწეროს სტილისტურად სწორად? ვის წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციას მოითხოვს „ს. მ.?“

კიდევ რამდენიმე მაგალითი (მოგვყავს მხოლოდ ანშლაგები და სათაურები):

„უთაურებს უნდა უხელმძღვანელოთ“, „აღმოფხვრათ შეუფასებლობა სამხედრო მსახურთა ოჯახების შეღავათების და დახმარების საქმეში“. (№ 21). „ვემზადებით მარგვლა თოხნ სა და თიბვისათვის“. (№ 24).

ესაა სახელდახელოდ აღებული მაგალითები. გაზეთის ტექსტის გაცნობის დროს ბევრად უფრო აღმაშფოთებელ დამახინჯებებს შევხვდებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს **კორექტორების** ბრალია. მართლაც, „სოციალისტურ მშენებლობის“ კორექტორები ხშირად ცოდავენ. გაზეთის რედაქცია დაუნდობლად „ამხელს“ მათ. ასწორებს შეცდომებს, იბეჭდება ასეთი „გასწორების“ ნიმუში:

> **„გაუვებურობის გამო 1934 წ. ჩვენი გაზეთის № 6 გამოტოვებულა ამიტომ ჩვენი გაზეთის დღევანდელი № 13 გან მეორდება შემდეგ მორიგ ნომერში**
>
> **ჩვენი გაზეთის დამატებითი № 11-ში გაპარულია კორექტორული შეცდომა მეორე გვერდზე მეოთხე სვეტზე მესამე აბზაცის მეათ სტრიქონზე; დამატებით სწერ-ტა, რომელიც არ უნდა იყოს, რედაქცია:“**

როგორც ჩანს, შეცდომები ისეა „გასწორებული“, რომ ვერავინ გაიგებს, თუ რის თქმა სურს რედაქციას.

რით აიხსნება ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი, უდარდელი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გაზეთის მასალებისადმი? ნუთუ პირველ ყოვლისა ამაში დამნაშავე არ არის გაზეთის პასუხისმგებელი (!) რედაქტორი **გ. გაბიცანაშვილი?** (სიტყვამ მოიტანა: 26 აპრილიდან მეოთხე გვერდის ბოლოს მკითხველები წააწყდებიან ასეთ მინაწერს: **„პ/მგ რედაქტორი გ. გა-ლი“.** ორიგინალური შემოქმედებაა! თუმცა საკითხავია: რად მალავს რედაქცია პ/მგ. რედაქტორის ვინაობას?).

მძლავრი ჰიდროელსადგური მდ. სუფსა-გუბაზოულზე*)

ამ წერილის საგანს შეადგენს მრეწველობის ელექტრო - ენერგიით დაკმაყოფილების საკითხის განხილვა, მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა ელექტრომშენებლობის დარგში, ენერგიის გამომუშავება მაინც საგრძნობლად ჩამორჩება მოთხოვნილებას.

სახალხო მეურნეობის დატვირთვის გრაფიკს მთელი წლის განმავლობაში თითქმის თანაბარი სახე აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ უმნიშვნელო ზრდას, რომელიც ზამთრის პერიოდში ხდება.

ენერგიის ყველაზე იაფი წყარო— ჩვენი მდინარეები ხასიათდებიან საწინააღმდეგო თვისებებით: მრავალ წყლიანობით ზაფხულის (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) და მცირე წყლიანობით ზამთრის პერიოდში. ასეთი უხერხული გრაფიკის გასწორება შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ წყალსაცავების მოწყობით: მრავალ წყლიანობის დროს წყალის დასაგროვებლად, ხოლო მცირე წყლიანობის დროს საჭიროების მიხედვით სახარჯავად, ან ჰიდრო-აკუმულიაციით, ე. ი. გადამუშავებული წყალის ხელახლა სამუშაო სიმაღლეზე აყვანით.

საქართველოს ჰიდრო - ენერგეტიული რესურსების გამოყენების საქმეში მნიშვნელოვან საგანძურს წარმოადგენს ინჟ.: **კოპაძის, შენგელიას, ხიზანიშვილის** და სხვათა სქემები და პროექტები, რომელთა ნაწილი უკვე განხილულია შესაფერის უმაღლეს ტექნიკურ ინსტანციაში და ელის განხორციელებას („ხრამჰესი“, „რიონჰესი მეორე“ და სხვ.).

საქართველო უმთავრესად მდიდარია მცირე წყალიანი და დიდ დაქანებიანი მდინარეებით, რომელთა მოხერხებული გამოყენება მისცემდა ჩვენს მრეწველობას ათეულ და ასეულ მილიონ კილოვატ - საათ იაფ ენერგიას.

ჩემს მიერ დამუშავებული სქემაც ერთ ასეთ შესაძლებლობას გულისხმობს. მხედველობაში მაქვს **სუფსა - გუბაზოულის კომპლექსი ჩოხატაურის რაიონში.**

ცნობილია, რომ შავი ზღვის სამხრეთ - დასავლეთის მდინარეები დიდად განსხვავდებიან წლიური ჩამოდინების ხასიათით, არამც თუ აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთ საქართველოს მდინარეებისგანაც. მიზეზი ამ მოვლენისა ისაა, რომ ისინი მდებარეობენ თბილ ჰავიან ზონაში, მათი ბასეინები და სათავეები არამყინვარიან მთებშია, ამიტომ თოვლი განუწყვეტლივ დნება მთელი ზამთრის განმავლობაში და იწვევს მდინარეების მაღალ დონეზე დაყენებას.

ეს უმნიშვნელოვანესი პირობა მიაკუთვნებს ქვემოთ აღწერილ სადგურს სხვებთან პარალელურად მუშაობის დროს მარეგულირებელი სადგურის უპირატესობას. ის ყოველგვარ რთულ და ძვირად ღირებულ სპეციალურ წყლის შემკავებელ (წლიურ რეგულირებისათვის) მოწყობილობის გარეშე ნაწილობრივ გამოასწორებს საქართველოს გრაფიკს. ზამთრის პერიოდში, როცა სხვა სადგურები (ზაჰესი, რიონჰესი და სხვ.) თავიანთ მინიმალურ სიმძლავრეს ანვითარებენ მდინარეების ხარჯის ძალზე შეზღუდულობის გამო, სუფსა - გუბაზოულის სადგური კი საპროექტო სიმძლავრეზე მეტს მოგვცემს. ზემოთქმულის დასადასტურებლად საკმარისია მარტო ის ფაქტი მოვიყვანოთ, რომ დეკემბრის საშუალო თვიური დებეტი ორივე ამ მდინარისა 18 კუბ. მეტრს აღემატება და შეცდომაც არ იქნება, თუ ჰიდროსადგურის სიმძლავრეს ამ ხარჯის მიხედვით დავაპროექტებთ. ამით მნიშვნელოვნად იქნება დაფარული ის დანაკლისი, რომელსაც ჩვენი მრეწველობა ზამთრის პერიოდში განიცდის.



ზემოხსენებული მდინარეები მთის მდინარეებია და მდიდარი არიან წლიური ჩამოდინებით, მათი ტოპოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის მათზე მძლავრი ჰიდრო - ელ-სადგურის აშენებისათვის. აღნიშნული სქემა ჩვენს მიერ დამუშავებულია ორ ვარიანტად.

პირველი ვარიანტი

პირველ ვარიანტს ვადგენთ ორ საფეხურად. მდ. გუბაზოულზე, სოფ. ბუქსიეთსა და **ხევს** შორის აგებული იქნება 8—10 მეტრიანი დაბალი წნევის საგუბარი, სადაც წყლის ჰორიზონტი მიაღწევს **255** მეტრს შავი ზღვის დონიდან. სამკილომეტრიანი გვირაბით წყალი გაიყვანება მდ. **სუფსის** კალაპოტში, ე. წ. „გურის ტბასთან“, სოფ. იანოულში. მდ. სუფსის ჰორიზონტი ამ ადგილას უდრის **240** მეტრს. ამ ვიწრო და მაღალ კლდიან ხეობაში აიგება 15 მეტრიანი საგუბარი, რომელიც ორივე მდინარის დონეებს გაათანაბრებს.

შეერთებული ორივე მდინარე ორკილომეტრიანი გვირაბით გაიყვანება მდინარე ხევის წყლის ბასეინში სოფ. **კოხნარში**, რაც ერთ კილომეტრიან ღია არხის გავლის შემდეგ, ეშვება ტურბინებზე, ან შესაძლებელია გვირაბი და არხი შეიცვალოს 3 კილომეტრიან საწნეო გვირაბით. სრული წნევა პირველი საფეხურის ჰიდრო - სადგურის ტურბინებზე 15 კუბ. მეტრის ხარჯით (6 თვიანი) შეადგენს 175 მეტრს, რაც 28.300 ცხენის ძალას გვაძლევს. გადამუშავებული წყალი შეუერთდება მდ. ხევის-წყალს.

რომ არ დავკარგოთ ამ მდინარის მნიშვნელოვანი დაქანება, მდ. რიონში შერთვამდე, ამისათვის სოფ. ქვაყუდეში ე. წ. **„ბახალოურში“** პირველი საფეხურის სადგურიდან 3 კილომეტრის დაშორებით აიგება 7—8 მეტრიანი საგუბარი. წყალი 3,5 კილომეტრიან გვირაბით გაიყვანება მდ. **თხილნარში** სადგ. საჯავახოსთან; გვირაბის ბოლოში აიგება ჰიდრო - სადგური, რომლის ტურბინებზე წნევა იმავე ხარჯით, როგორც პირველის, შეადგენს 35 მეტრს და. მოგვცემს **5.800** ცხ. ძალას. გადამუშავებული წყალი ერთ კილომეტრიანი არხით შეუერთდება მდ. რიონს.

ამგვარად პირველი ვარიანტის ორივე საფეხურით ვღებულობთ **34.600 ცხ. ძალას 175 მილიონ კილოვატ - საათის სიმძლავრით.**

მეორე ვარიანტი

მეორე ვარიანტისათვის მდინარეებზე ორივე საგუბარი და დონეები რჩება ისეთივე, როგორიც მოყვანილი გვაქვს პირველისათვის. მხოლოდ ნაცვლად მეორე გვირაბში გავლისა წყალი გაიყვანება 5 კილომეტრიანი არხით **საყვავისტყისა** და **ფარცხმის** მიმართულებით, ე. ი. ჩრდილო - დასავლეთით; დასრულდება იგი **სოფ. ფარცხმაში**, საიდანაც იწყება 2,5 კილომეტრიანი გვირაბი. **სოფ. ნიღის** ბოლოს „ნაცხვარის“ ძირას მაგარი ქვიშის კლდიან ნიადაგზე მდ. ხევის-წყალთან აიგება **სადგური 33.800** ცხ. ძალის სიმძლავრით. გადამუშავებული წყალი მდ. ხევის-წყალის კალაპოტით შეუერთდება **მდ. რიონს.**

იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი ამ ადგილას არ აღმოჩნდება ხელისშემწყობი საწნეო გვირაბისათვის, სოფ. ფარცხმიდან 2 კილომეტრიან გვირაბით წყალი გაიყვანება სოფ. **ზემო - ტოლებში**, სადაც შესაძლებელია მოვაწყოთ მცირე ვადიანი მომწესრიგებელი წყალსაცავი. შემდეგ [illegible] წყალი, 1,5 კილომეტრიანი არხით „ნაცხვარამდე“ და საწნეო მილებით ეშვება ტურბინებზე.

სრული საორიენტაციო ღირებულება თვითეული ვარიანტისა დაახლოვებით 29—30 მილიონ მანეთით განისაზღვრება (1932 წლის ფასებით), რაც ფრიად რენტაბელურად უნდა ჩაითვალოს ასეთი მარეგულირებელი ხასიათის მქონე სადგურის აშენებისათვის.

ტექნიკური შესრულების მხრივ ის არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს. მშენებლობა შეიძლება გაიშალოს, როგორც ერთბაშად, ისე უბნობითაც. რკინის გზის ხაზისა და გზატკეცილის სიახლოვე ამაში დიდად ხელს შეგვიწყობს; მაგ. პირველი ვარიანტის მეორე საფეხურის საგენერატორო სადგურს დაშორებული იქნება გზიდან მხოლოდ 0,5 კილომეტრით, მეორე ვარიანტის კი—2 კილომეტრით. სამუშაოთა ყველაზე უშორესი უბანი მდებარეობს 28 კილომეტრის მანძილზე რკ. გზის ხაზიდან, მაგრამ მასთან შეერთებულია გზატკეცილით.

ორივე ვარიანტით გათვალისწინებული სადგურების საერთო ქსელში (ჯაგში) შეყვანას აადვილებს ის გარემოება, რომ **რიონჰეს - აჭჰესის** შემაერთებელი **110** კილოვატიანი მაგისტრალური ხაზი მდებარეობს სულ 0,5 კილომეტრის მანძილზე პირველი ვარიანტით გათვალისწინებული სადგურის მეორე საფეხურიდან, ამავე მანძილით იქნება დაშორებული მეორე ვარიანტი სადგურიდან და 4 კილომეტრით პირველი ვარიანტის პირველი საფეხურიდან.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მოსახერხებელია ამ მდინარეებზე, რომელთაც მდიდარი წლიური ჩამოდენა ახასიათებს, წლიური მომწესრიგებელი წყალსაცავის აგება, ამის გადაწყვეტა მოითხოვს უფრო ზუსტ დაკვირვებებს და გამოანგარიშებას.

აკ. შანიძე.

თამბაქო

თამბაქოს თესვის გეგმა საქართველოში შესრულებულია

თამბაქოს თესვის გეგმა საქართველოში შესრულებულ იქნა 5 ივნისისთვის. **გეგმით გათვალისწინებულ 19.250 ჰექტარის ნაცვლად, თამბაქო გადარგულია 19.415 ჰექტარზე. გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით.**

მიუხედავად, იმისა, რომ საქართველოს მთელმა რიგმა რაიონებმა **(ლაგოდეხი, ბორჩალო)** და აგრეთვე **აფხაზეთმა** თამბაქოს დარგვის გეგმა ვადამდე შეასრულეს, ცალკე რაიონებში თამბაქოს დარგვა იგვიანებს.

წალენჯიხის რაიონში თამბაქო ჯერ კიდევ დასარგავია 55 ჰექტარზე, **ზუგდიდის** რაიონში 50 ჰექტარზე, **ყვარელის** რაიონში —8 ჰექტარზე და **ჩხოროწყუს** რაიონში —10 ჰექტარზე.

ჩამორჩენილმა რაიონებმა ყველა ზომები უნდა მიიღონ, რომ თამბაქოს გადარგვა დანიშნულ ვადაზე—10 ივნისისათვის დაამთავრონ (ადს).

სიგნალი ყვარელიდან

(ყვარელი, ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

თამბაქოს ნარგავების დამუშავება ყვარელის რაიონში დაიწყო. **ახალი სოფლის, შილდის, ყვარლის და ზინობიანის** სასოფლო საბჭოების თამბაქოს პლანტაციებში თავი იჩინა მავნებელმა — „მჭრელმა“, რომელიც მასობრივად მრავლდება.

რაიმიწგანმა სასოფლო საბჭოებს უკვე გაუნაწილა და გადაუგზავნა საწამლებელი მასალა—შხამიბი.

ზოგიერთ სოფ. საბჭოს. თავმჯდომარეები (ახალი სოფელი, **კოკოლაძე**, ყვარელი — **გულიაშვილი**, ზინობიანი — **ნებუმაშვილი**) დანაშაულებრივ დამოკიდებულებას იჩენენ თამბაქოს მავნებლებთან ბრძოლისადმი, არ ეხმარებიან აგრონომებს მუშა-ხელის გამოყვანაში.

ყვარლის სასოფლო საბჭოში **შესაწამლია 44 ჰექტარი პლანტაცია. აქედან შეწამლულია მხოლოდ ორი ჰექტარი.** აგრონომი სამი დღე დაიალებდა სოფ. სოფსაბჭოში. მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ ხალხი არ გამოიყვანა მავნებლებთან საბრძოლველად.

აფხაზავა, გორგიშელი

---

*) საკითხის დაყენების წესით.

ჩაის ფოთლის კრეფაში
ივნისი გადამწყვეტი თვეა

მთავარია ხარისხი

ოზურგეთი, (სპ. კორ.) „**კომუნისტის**" 22 მაისის ნომერში მოთავსებულ შენიშვნის საპასუხოდ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ დიდი მუშაობა გააჩაღა. მეურნეობის პირველი რაიონი, რომელიც განსაკუთრებით იყო სარეველა ბალახებით დანაგვიანებული, **უკვე გაწმენდილია.**

პლანტაციების მოვლის და მწვანე ფოთლის კრეფის ტემპები აქ საგრძნობლად გაიზარდა. პლანტაციების პირველი თოხნა (1.015 ჰექტარზე) მეურნეობამ 2 ივნისისათვის **დაამთავრა** (31 მაისს და 1 ივნისს თოხნა შეჩერებული იყო წვიმების გამო). მაისის გეგმით გათვალისწინებულ **36.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილია 36.470 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.**

ლაითურის საბჭოთა მეურნეობამ საგაზაფხულო სამუშაოებზე **ნასაკირალის მეურნეობას დაახმარა 50 მუშა.** სამაგიეროდ ნასაკირალმა მაისის მეორე ნახევარში გაუთოხნა ლაითურს 16 ჰექტარი პლანტაცია.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობას დიდ დახმარებას უწევენ აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციები და კოლმეურნეობები, რომლებმაც გაუთოხნეს 300 ჰექტარი პლანტაცია.

ლაითურის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ (დირექტორი, ამხ. **ე. გობრონიძე**, პარტკომის მდივანი ამხ. **ა. რამიშვილი**) აღებული ტემპების შენარჩუნებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხის დაცვას, რომელშიაც იგი ჯერჯერობით ისევ ჩამორჩენილია.

ს. მასხულია.

კოლმეურნეობები ჩამორჩებიან

ზუგდიდის რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა საჭირო სიმტკიცით ვერ იბრძვის ჩაის სამუშაოთა ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მაისის განმავლობაში აქ უნდა მოეკრიფათ 70.463 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 30 მაისისათვის მოკრეფილი იყო მხოლოდ 38.570 კილოგრამი. განსაკუთრებით ჩამორჩენილი არიან კოლმეურნეობები „ოქტომბერი", „დამკვრელი", „ჯიხისკარი", „ნარაზენი", „კორცხელი" და სხ.; რომლებსაც გეგმის ნახევარიც კი არა აქვთ შესრულებული.

ქ. დგებუაძე.

მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის მიღება ჩაქვის პირველ საბჭოთა მეურნეობაში

ისვენებენ...
(ლანჩხუთის რაიონი)

აცანის ჩაის ფაბრიკას მაისის განმავლობაში უნდა მიეღო და გადაემუშავებია 114.476 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი; აქედან პირველი ხარისხის 90 პროც., ხოლო მეორე ხარისხის 10 პროც. უნდა ყოფილიყო.

მაისის განმავლობაში ფაბრიკამ ფაქტიურად მიიღო 107.707 კილოგრამი, გეგმის 94,1 პროც., აქედან 90 პროც.-ის ნაცვლად პირველ ხარისხის არის 80,5 პროც., მეორე ხარისხის კი (10 პროც.-ს ნაცვლად)—17,5 პროც.

ამ რიგად ფაბრიკამ მაისში ვერ შეასრულა გეგმის ვერც რაოდენობითი და ვერც ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ეს ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ ფაბრიკის სამოქმედო რაიონში შემავალი ზოგიერთი პარტორგანიზაცია და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები უსულგულოდ და, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

სოფ. გაგურის კოლმეურნეობას და ერთპიროვნულ მეურნეობებს, მაისში ფაბრიკისათვის უნდა ჩაებარებიათ 2.070 კილოგრამი, 29 მაისს მათ შესრულებული ქონდათ გეგმის 98,1 პროც. (ჩაბარებული ქონდათ 2.031 კილოგრამი, კიდევ უნდა ჩაებარებიათ 39 კილოგრამი). 30 და 31 მაისს ამ სოფელში ჩაის კრეფა **არ უწარმოებიათ.** პარტორგანიზატორი ამხ. **ტულუში** და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ამ გარემოებას „ობიექტიური" მიზეზებით, ამართლებენ.

„ისვენებდა" თვითონ ტულუშიც, „ისვენებდნენ" კოლმეურნეებიც, და ერთპიროვნული მეურნეებიც. ისინი ჩრდილში იყვენ წამოწოლილი, გრძელ - გრძელ მუსაიფით იქცევდნენ თავს; პლანტაციებში ჩაის მომწიფებული ყლორტები უხეშდებოდა და ფუჭდებოდა.

ასევე მოიქცენ სოფ. ჭანჭათის კოლმეურნეები, რომლებსაც მაისის გეგმის შესრულებაში დიდი გარღვევა აქვთ და ცხვირწინ, საკოლმეურნეო კანტორის გვერდით მდებარე პლანტაციაში ხუთმეტი-ოცი დღეა ყლორტი არ მოუწყვეტიათ.

სოფ. ქვედა - აკეთის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას თავიდანვე უსულგულოდ მოეკიდნენ. კრეფის გეგმა ცალკე პლანტაციებს მისცეს არა ნამდვილ მდგომარეობასთან შეფარდებით, არამედ პლანტაციების წლოვანების მიხედვით. ამის გამო ნორმალური გეგმა ისეთ პლანტაციებსაც კი აქვს მიცემული, რომლებიც მთლიან აღდგენას საჭიროებენ და, ისეთებს, რომლებშიაც საექსპლოატაციო ბუჩქი აქა-იქ მოიპოება.

ზემო - აკეთის კოლმეურნეობამ მართალია მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ აქ კრეფის წესებს უხეშად არღვევენ; შემოღებული არ არის განუწყვეტელი კრეფა. **შალვა კუკულავას** ბრიგადაში მაგალითად, ხშირად შეხვდებით გაუკრეფავად მიტოვებულ ბუჩქს, ხოლო შემდეგ გადაყროებულ - გაუხეშებულ ყლორტს კრეფენ და კარგი ხარისხის ჩაიში ურევენ.

ვ. კიტრიკაძე.

„არცერთი კილოგრამი მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი"
(ქობულეთი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას მაისში ფაბრიკისათვის უნდა ჩაებარებია 10.800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩააბარა 14.427 კილოგრამი გეგმის 133,8 პროც. აქედან პირველი ხარისხისაა 13.198,2 კილოგრამი, მთელი რაოდენობის 91,5 პროც.

ხალხის შერჩევა, შესრულების შემოწმება, აგროწესების მტკიცედ დაცვა-აი, რით მიაღწიეს წარმატებას მოლოტოველებმა.

ჩაის კრეფაში აქ მთლიანად არის გამოყენებული ქალთა და მოზარდთა შრომა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ კრეფის დროს კოლმეურნეს უმიზეზოდ გაეცდინოს დღე, ან დაგვიანებით გამოსულიყოს სამუშაოზე.

ინსტრუქციის თანახმად მოკრეფილი ფოთოლი დაუყონებლივ უნდა გაიგზავნოს ფაბრიკაში. ეს წესი აქ **სავსებით დაცულია.** თვითეულ ბრიგადაში ფოთლის ფაბრიკაში გადასაზიდად გამოყოფილია ურემი და არავის აქვს უფლება ეს ურემი სხვა სამუშაოზე გამოიყენოს.

— **პირველ ხანებში ზოგიერთი არ იცავდა კრეფის წესებს, მხოლოდ და მხოლოდ** დღიური ნორმის შესრულებით იყო დაინტერესებული. მაგრამ ამას ბოლო მოვუღეთ—აცხადებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ოსმან მგელაძე.**

— როგორ მოახერხეთ ეს — ვეკითხები ამხ. ოსმანს.

— სულ უბრალო წესით. გავაძლიერეთ მკრეფავის პირადი პასუხისმგებლობა. ფოთლის მკრეფავს შრომა დღეები ეწერება არა მარტო შესრულებული სამუშაოს რაოდენობის, არამედ აგრეთვე **ხარისხის** მიხედვით,

— **იმ შემთხვევაში,**—განაგრძნობს ოსმანა თუ მოკრეფილი ჩაის ფოთოლში ყრუ ფუყი 10 პროც. მეტია, მკრეფავს იძულებულს ვხდით მაშინვე გადაარჩიოს მოკრეფილი ჩაი. ამის შემდეგ კოლმეურნეები დარწმუნდენ, რომ კრეფის წესების დაცვა სავალდებულოა.

ფოთლის კრეფის გაუმჯობესებაში დიდი როლი ითამაშა ხარისხის ინსპექტორების გამოყოფამ, რომლებიც მუშაობის დროს ამოწმებენ ნამუშევარს და იქვე ღებულობენ ზომებს შემჩნეული ნაკლის გამოსასწორებლად.

თვითეულ ბრიგადას აქვს **მტკიცე გეგმა.** ჯგუფებისაგან და კოლმეურნეებისაგან ყოველდღიურ ნამუშევარს ბრიგადირი ღებულობს ხარისხის ინსპექტორთან ერთად.

აქ ხდება ნაკისრ ვალდებულებათა **შესრულების სისტემატიური შემოწმება.** უკანასკნელი შემოწმების მიხედვით კოლმეურნეობის ხუთი ბრიგადიდან კრეფაში მოწინავეა მეხუთე ბრიგადა (**ბრიგადირი მუხამედ სამულიძე**) და მესამე ბრიგადა (**ბრიგადირი ხასან ქუჩუქალ-ოღლი**).

— მუხამედს აგერ გუშინ გარდამავალი დროშა მივაკუთვნეთ ჩაის სამუშაოთა კარგად შესრულებისათვის — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

ამ დროს მუხამედიც მოგვიახლოვდა.

— ცოტა მაცალეთ და მაგ დროშას მე დავეპატრონებით—წამოიძახა მესამე ბრიგადის ხელმძღვანელმა **ხასანმა.**

— მაგას ვერ ეღირსებით, დროშას ხელიდან არ გაუშვებთო — უპასუხა მუხამედმა.

ჩაის ფოთლის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა მარტო კრეფის წესების დაცვით არ ამოიწურება. ეს კარგად იციან მოლოტოველებმა და ამიტომ თვალის ჩინივით უვლიან ჩაის თვითეულ ბუჩქს. ჩაის პლანტაციების პირველი გათოხნა ვადაზე ადრე დაამთავრეს და ახლა დამკვრელი ტემპებით აწარმოებენ მეორე გათოხნას.

მოლოტოველები თვითკმაყოფილებას ებრძვიან. ისინი ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, რომ უზრუნველყონ 1 ჰექტარიდან არა 1100 კილოგრამის, როგორც ეს გეგმით არის გათვალისწინებული, არამედ გაცილებით უფრო მეტი ჩაის მწვანე ფოთლის მიღება.

— „არც ერთი კილოგრამი მეორე ხარისხის ჩაის ფოთოლი ივნისში". ასეთია მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეთა მტკიცე გადაწყვეტილება.

თ. კუნჭულია

მოკრეფილი ჩაის 95,6 პროცენტი პირველი ხარისხისაა

აჭარისტანის მიწსახკომის მეორე საბჭოთა მეურნეობა პირნათლად ასრულებს ოჩხამურელთა გამოწვევის საპასუხოდ ნაკისრ ვალდებულებებს.

ჩაის პლანტაციების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა მას შესრულებული აქვს 100 პროცენტით, ჩაის პლანტაციების აღდგენის გეგმა 103,4 პროცენტით, სასუქის შეტანის გეგმა 101,2 პროცენტით, გადაბარვის—100,6 პროც. და ა. შ.

მაისის განმავლობაში ამ მეურნეობას ჩაის ფაბრიკისათვის უნდა ჩაებარებია 6.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. ფაქტიურად ჩააბარა 8.556 კილოგრამი. აქედან **95,6 პროც. — პირველი ხარისხისაა.**

პლანტაციების პირველი თოხნა 39 ჰექტარზე მეურნეობამ ვადაზე 11 დღით ადრე დაამთავრა. დაწყებულია პლანტაციების მეორე თოხნა 2 ივნისისათვის, მეორედ გათოხნილი იყო პლანტაციების 13,5 პროც. საუკეთესოდ მუშაობს პირველი რაიონი (აგრონომი **ჯლამაძე**), რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 15—20 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს.

რ. მენაბდე.

ჩაქვის ფაბრიკა მოწინავეთა რიგებში

ბათომი, 5 ივნისი. მაისისათვის გათვალისწინებული ჩაის მწვანე ფოთლის გადამუშავების გეგმა ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ 124 პროცენტით შეასრულა. სპეციალური ბრიგადების მოწყობის გზით ვადამდე გადაამუშავა მაისში მიღებული ჩაის ფოთოლი. ივნისის განმავლობაში გასაგზავნი მზა ჩაი გადაგზავნილია ვადაზე ადრე 31 მაისისათვის, ივლისის გეგმის ანგარიშში ვადამდე გადაგზავნილია 19.382 კილოგრამი მზა ჩაი. სეზონის დასაწყისიდან გადაგზავნილია **სულ 42.884 კილოგრამი.**

5 მაისს მოვაწყვეთ 2 ბრიგადა, რომლებიც დახმარების წესით გადაამუშავებენ ხულუბნის ფაბრიკის ნახევარ ფაბრიკატს.

ფაბრიკის მუშები და სპეციალისტები თავდადებით იბრძვიან გადამუშავების ტემპების და მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის დირექტორი — სუზაკი.

ჩაის კრეფა ოჩხამურში

ყურადღება ხე-ტყის გამოზიდვა—დაცურებას!

უხეირო მუშაობის შედეგები
(წალენჯიხა, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის მუშაობა არა დამაკმაყოფილებელია. მეურნეობას პირველ კვარტალში უნდა დაემზადებია სახერხი მასალები 14.250 კუბომეტრი, ფაქტიურად დაამზადა 14.714 კუბომეტრი, ანუ გეგმის 103,5 პროცენტი, სამშენის (ბზა) დამზადების გეგმა შესრულებულია 181 პროც., საკასრე ფიცრების დამზადების—12 პროცენტით. აპრილში ხე-ტყის დამზადება სუსტად მიმდინარეობდა ჯავრის დამზადების აპრილის გეგმა შესრულდა მხოლოდ 35 პროცენტით.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, პირველ კვარტალში და აპრილში ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულებაში ადგილი აქვს სიჭრელეს.

მეურნეობის მთავარი ამოცანა დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა და წყლის ნაპირზე მიტანა. ამ მხრივ მეურნეობას დიდი გარღვევები აქვს. პირველ კვარტალში მას უნდა გამოეზიდა 900 კუბომეტრი სახერხი მორები, რაც არ შესრულებულა. საკასრე ფიცრების გამოზიდვა (გეგმა 1.600 ცალი). შესრულდა მხოლოდ 35 პროც. აპრილში მდგომარეობა უფრო გაუარესდა. ამ თვეში ხე-ტყის გამოზიდვის გეგმით გათვალისწინებული არცერთი მაჩვენებელი არ შესრულებულა. არც მაისში მომხდარა საგრძნობი გარდატეხა. მაისის გეგმით უნდა გამოზიდულიყო 1.300 კუბომეტრი სახერხი მორები, ფაქტიურად გამოზიდეს 232 კუბომეტრი, რაც შეადგენს 18 პროცენტს. საკასრე ფიცრების და ჯავრის გამოზიდვა არ წარმოებულა.

მოყვანილი მასალები ყოველგვარი განმარტების გარეშე ამტკიცებენ წალენჯიხის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის უხეირო მუშაობას. მასზე კი დამოკიდებულია ჯავრის დამცურებელი პუნქტის და ზუგდიდის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშაობა. დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვის გეგმების შესრულებას ხელს უშლის მუშა-ხელის სიმცირე, გამწევი ძალის არასაკმაო რაოდენობა და სატრანსპორტო ნაგებობათა მშენებლობის ჩაუტარებლობა.

აპრილში ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის სამუშაოები მუშა-ხელით უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ 50 პროცენტით. ასეთივე მდგომარეობა გრძელდებოდა მაისში. მეურნეობას დადებული აქვს ხელშეკრულება კოლმეურნეებთან და ინდივიდუალურ მეურნეებთან 58 უღელ ხარ-კამეჩის გამოყვანაზე, მაგრამ ისინი კეთილსინდისიერად არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. დღემდე მუშაობს მხოლოდ 7 უღელი ხარ-კამეჩი (ლიის კოლმეურნეობიდან 4 უღელი და ფახულანიდან 3). უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ნაკლებ დახმარებას უწევენ მეურნეობას მუშა-ხელით და გამწევი ძალით უზრუნველყოფის საქმეში.

მეურნეობაში სატრანსპორტო ნაგებობათა (მისასვლელი გზების და ხის ლიანდაგის გაყვანა) მშენებლობა **ფაქტიურად ჩაშლილია.** ამ საქმეს ხელმძღვანელობს „ზაკლესსტროიპროექტი", მან მშენებლობა დააგვიანა და მარტის ნაცვლად ეს სამუშაო დღესაც არ არის დამთავრებული. ამის გამო ხეების ჩამოზიდვა მთიდან შეუძლებელი ხდება. „ზაკლესსტროიპროექტმა" ამ სამუშაოზე ხელმძღვანელად მოავლინა **ინჟინერი გოცაძე,** რომელმაც ვერ შესძლო სამუშაოსათვის ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწევა, მას არ ჰქონდა აგრეთვე მშენებლობის გეგმა. ამჟამად მშენებლობა უზრუნველყოფილი არ არის მუშა-ხელით და აუცილებელი ფინანსიური რესურსებით.

მეურნეობაში არ წარმოებს საზინაო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. ხელფასს თავის დროზე არ იხდიან (დავალიანება აღწევს 100 ათას მანეთს), კულტმასობრივი მუშაობა სრულიად მივიწყებულია. მოუწესრიგებელია აგრეთვე დაგეგმვის (ეკონომისტი პავლიაგი) და აღრიცხვა-ანგარიშგების (ბუხჰალტერი ჩიჩუა) საქმე.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი არანორმალური მდგომარეობა. მეურნეობამ მარტში დაამზადა 270 ტონა ბზა, ღირებული 130 ათას მანეთად (აქედან 20 პროც. საექსპორტო მასალები იყო). იგი მიიტანეს რკინის გზის ზუგდიდის სადგურზე, აქედან „ლესოსბიტს" უნდა გაეგზავნა დანიშნულებისამებრ. მასალები ახლაც სადგურში ყრია და ფუჭდება, ამას კი არავინ ყურადღებას არ აქცევს. მეურნეობის დირექციას ამ საქმეზე თითიც არ გაუნძრევია, მხოლოდ უკანასკნელ დროს (16 მაისი) „ლესოსბიტმა" გადაზიდა სრულიად უმნიშვნელო ნაწილი (ორი ვაგონი), უდიდესი ნაწილი კი კვლავ სადგურზე აწყვია და ზიანდება.

წალენჯიხის სატყეო - სამრეწველო მეურნეობის დირექტორად ითვლება ამხ. **ეგუტია.** ეგუტიამ ავადმყოფობის გამო მეურნეობა გადააბარა შემთხვევით პირს— **მიტრო გაბედავას.** გაბედავას ერთ დროს (1932 წელს) ჩხოროწყუს რაიონში დაუმტკიცდა ბოროტმოქმედება, რაც პრესაშიც იყო აღნიშნული. გაბედავას მეურნეობა სრულიად უყურადღებოდ აქვს მიტოვებული.

საჭიროა მეურნეობის მუშაობის გადაჭრით გარდაქმნა, მისი უზრუნველყოფა შემოწმებული მუშაკებით.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა მეურნეობას უნდა გაუწიონ მტკიცე კონკრეტული ხელმძღვანელობა და ყოველდღიური დახმარება.

ვ—ლი.

ხე-ტყის დაცურება ფერხდება
(სამტრედია)

ხე-ტყის დაცურების კანტორამ, **მდ. ცხენის - წყალზე,** ქვემო - სვანეთის და ცაგერის პარტრაიკომების და რაიაღმასკომების დახმარებით თავის დროზე ჩაატარა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ხე-ტყის დაცურებისათვის. დადებულია ხელშეკრულება კოლმეურნეობებთან და ინდივიდუალურ მეურნეებთან მუშა-ხელის გამოყვანაზე. კანტორა მომარაგებულია სურსათით, სამრეწველო საქონლით და საჭირო იარაღებით; გეგმები და ინსტრუქციები მიცემული აქვთ დაცურების ხელმძღვანელებს. უბნებს შორის გაშლილია სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა, გამარჯვებულთათვის დაწესებულია ჯილდო. კანტორა ჩაბმულია აგრეთვე ხე-ტყის დაცურების რესპუბლიკანურ კონკურსში.

15 მაისიდან დაიწყო ხე-ტყის დაცურება. მაგრამ ლენტეხის სატყეო - სამრეწველო მეურნეობის უხეირო მუშაობის გამო, ჩამორჩენას აქვს ადგილი. ხელშეკრულების თანახმად მას დღემდე დაცურების კანტორისათვის უნდა მიეწოდებია 35.000 კუბომეტრი ხე-ტყე, ფაქტიურად მიაწოდა მხოლოდ 13.000 კუბომეტრი, რაც შეადგენს გეგმის 36,4 პროცენტს., ეს მოწმობს, რომ დაცურების სამუშაოები დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხე-ტყის დაცურების კანტორა არ არის უზრუნველყოფილი საჭირო სახსრებით. კანტორამ საჭილაოს ხე-ტყის სახერხ ქარხანას დღემდე მიაწოდა 13.000 კუბომეტრამდე ხე-ტყე, მაგრამ ქარხანას წყლიდან ამოღებული აქვს მხოლოდ 6.000 კუბომეტრი, ამის გამო სახელმწიფო ბანკის კანტორამ. უარი განაცხადა ხე-ტყის ახალი დაცურებისათვის საჭირო კრედიტების. მიწოდებაზე. ეს მდგომარეობა გაგრძელდება, სანამ საჭილაოს ხე-ტყის ქარხანა არ ამოიღებს წყლიდან მთელ დაცურებულ ხე-ტყეს.

საჭილაოს სახერხი ქარხნის უვარგისი მუშაობა საფრთხეში აყენებს დაცურების საქმეს; მოსალოდნელია წყლის სეზონის გამოუყენებლობა და დაცურების გეგმების ჩაშლა.

ნ. გოცირიძე.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილება

სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებათა (კონტრრევოლუციურ და განსაკუთრებით ს.ს.რ. კავშირის მართვა - გამგეობის წესრიგის წინააღმდეგ საშიშ ბოროტმოქმედებათა) შესახებ დებულების შევსებაზე მუხლებით სამშობლოს ღალატის შესახებ.

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: შევსებულ იქნას დებულება სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებათა (კონტრრევოლუციურ და განსაკუთრებით ს.ს.რ. კავშირის მართვა-გამგეობის წესრიგის წინააღმდეგ საშიშ ბოროტმოქმედებათა) შესახებ შემდეგი შინაარსის მუხლებით 1^1—1^4:

„1^1. **სამშობლოს ღალატი,** ე. ი. მოქმედებანი, ჩადენილი ს.ს.რ. კავშირის მოქალაქეთა მიერ ს.ს.რ. კავშირის სამხედრო ძლიერების, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ანუ მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის საზიანოდ, როგორიცაა ჯაშუშობა, სამხედრო ანუ სახელმწიფოებრივი საიდუმლოების გაცემა, მტრის მხარეზე გადასვლა, საზღვარგარეთ გაქცევა ან გადაფრენა, ისჯება სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომით—დახვრეტით და მთელი ქონების კონფისკაციით, ხოლო შემამსუბუქებელ გარემოებათა დროს თავისუფლების აღკვეთით 10 წლის ვადით და მთელი ქონების კონფისკაციით".

„1^2. იგივე ბოროტმოქმედებანი, ჩადენილი **სამხედრო მოსამსახურეთა** მიერ, ისჯება სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომით—დახვრეტით და მთელი ქონების კონფისკაციით".

„1^3. სამხედრო მოსამსახურის საზღვარგარეთ გაქცევის ან გადაფრენის შემთხვევაში, მისი ოჯახის სრულ ჰასაკოვანი წევრები, თუ მათ რითიმე ხელი შეუწყვიათ განზრახული ანუ ჩადენილი ღალატისათვის, ან თუნდაც იცოდენ ამის შესახებ, მაგრამ არ უცნობებიათ ეს ხელისუფალთათვის, ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 10 წლამდე და მთელი ქონების კონფისკაციით".

მოღალატის ოჯახის დანარჩენ სრულ— ჰასაკოვან წევრებს, რომელნიც ბოროტმოქმედების ჩადენის მომენტისათვის მათთან ერთად ცხოვრობდენ ანუ მის კმაყოფაზე იმყოფებოდენ, წაერთმევათ საარჩევნო უფლებები და გადასახლებულ იქნებიან ციმბირის შორეულ რაიონებში 5 წლით".

„1^4. სამხედრო მოსამსახურის მხრივ განზრახული ან ჩადენილი ღალატის შესახებ ცნობის მიუწოდებლობა იწვევს თავისუფლების აღკვეთას 10 წლით".

დანარჩენ მოქალაქეთა (არა სამხედრო მოსამსახურეთა) მხრივ ცნობის მიუწოდებლობა ისჯება ამ დებულების 1^2 მუხლის თანახმად".

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — **მ. კალინინი.**

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი **ა. მედვედევი**

მოსკოვი, კრემლი.
1934 წ. 8 ივნისი

წყლის სატრანსპორტო სასამართლოებისა და პროკურატურის ორგანიზაცია

საკავშირო სახკომსაბჭოს წარდგენით ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოეწყოს წყლის სატრანსპორტო სასამართლოები და პროკურატურა.

ს.ს.რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს და პროკურატურას ემორჩილებიან შავ., ზღვისა და კასპიის ზღვის ბასეინებისა და ზემოვოლგის, შუავოლგის, ქვემო ვოლგის და დნეპრის სამდინარო ბასეინების სასამართლოები და პროკურატურა. დანარჩენი ბასეინების სასამართლოები და პროკურატურა არსდება სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების სისტემაში.

ამ ბასეინების უმთავრეს საწარმოო და საექსპლოატაციო უბნებზე ეწყობიან საუბნო სასამართლოები და პროკურატურა. წყლის სატრანსპორტო სასამართლოები გაარჩევენ სახელმწიფო ბოროტმოქმედებებს, ჩადენილს წყლის ტრანსპორტზე. შრომის დისციპლინის დარღვევას, დატვირთვა-გადმოტვირთვის შეფერხებას, რაც იწვევს გემების გაცდენას და სხვ.

ს.ს.რ. კავშირის უზენაეს სასამართლოს შემადგენლობაში იქმნება წყლის სატრანსპორტო კოლეგია, ხოლო კავშირის პროკურატურაში— წყლის სატრანსპორტო პროკურატურის სექტორი (ატს).

საქ. ექიმთა მე-6 ყრილობა

ბავშვთა სიკვდილიანობა

7 ივნისს დილის სხდომაზე განხილული იყო მორიგი საპროგრამო საკითხი: ბავშვთა სიკვდილიანობა. მთავარი მომხსენებელი დოც. ა. **ჯიჯაძე** აღნიშნავს, რომ ბავშვთა შობადობის და სიკვდილიანობის საკითხი წარმოადგენს აქტუალურ პრობლემას. კაპიტალისტურ ქვეყნებში ხდება ბავშვთა დაბადების კატასტროფული შემცირება. მაგ. გერმანიაში 1933 წ. ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდიოდა 14 ახალდაბადებული. 1929 წ. შეძლებულ კლასების ბავშვთა შორის ყოველ 100 დაბადებულზე მოდიოდა 3,6 სიკვდილიანობა, მაშინ, როდესაც მუშათა ბავშვებს შორის სიკვდილიანობა უდრიდა 12,6 პროცენტს.

ჩვენში ბავშვთა დაბადება ძველ წლებთან შედარებით არ შემცირებულა; ყოველ 1.000 მცხოვრებზე მოდის 26,3 დაბადება. ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი კი შემცირდა 20 პროცენტით. მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სიკვდილიანობა ყოველწლიურად მატულობს.

ჩვენში ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზეზია ექსპლოატაციის მოსპობა. მშრომელი მასების მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლება. დედათა და ბავშვთა დამცველ დაწესებულებათა ქსელის ფართოდ გაშლა.

ამავე საკითხზე თანამომხსენებით გამოსული ექ. **ახვლედიანი** დაწვრილებით შეჩერდა სამშობიარო დაწესებულებების მუშაობაზე და აღნიშნა, რომ დედათა და ბავშვთა დაცვის ორგანოების მიერ ჩატარებულ ფართო პროფილაქტიურ ღონისძიებათა შედეგად უკანასკნელ წლებში ჩვენში ბავშვთა სიკვდილიანობა 6-7 პროცენტიდან 3,5-4 პროცენტამდე დაიწია და ეჩნევა კიდევ უფრო მეტი დაკლების ტენდენცია.

ამავე საკითხს შეეხო მომხსენებელი ექ. ი. **მაისაია.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს ექ. ვ. **თოხაძემ,** ივ. **ლორთქიფანიძემ, მაღალაშვილმა,** დოც. **ნანეიშვილმა** და ექ. **ქარჩავამ.**

პროფესიური სნეულებანი

პროფესიულ სნეულებათა საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. ნ. **მახვილაძე.** პროფესიულ სნეულებებთან ბრძოლას მთელ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. დაარსებულია პროფესიულ სნეულებათა ინსტიტუტები, რომელნიც აწარმოებენ არა მარტო ამა თუ იმ პროფესიულ დაავადების შესწავლას, არამედ ფართო პროფილაქტიკურ მუშაობასაც. საქ. პროფსნეულებათა ინსტიტუტი აწარმოებს წარმოების მუშების კლინიკურ შესწავლას დეტალური პროფესიების მიხედვით.

საბჭოთა კავშირში პროფსნეულებანი და პროფტრავმატიზმი ამ ბოლო წლებში თვალსაჩინოდ შემცირდა.

მომხსენებელი ეხება პროფესიულ დაავადებათა გამომწვევ მიზეზებს და სხვათაშორის აღნიშნავს, რომ სამთო მრეწველობაში მაღაროებში მომუშავეთა შორის გვხვდება ქრონიკული რევმატიული დაავადებანი.

საკურორტო საქმე

7 ივნისს, საღამოს სხდომა ყრილობამ მოანდომა მეხუთე საპროგრამო საკითხს — საკურორტო მშენებლობას. მომხსენებელი დოც. ი. **კონიაშვილი** ეხება კურორტების მნიშვნელობას სხვადასხვა სნეულების მკურნალობაში.

საბჭოთა საქართველოში საკურორტო რესურსები ძალიან დიდია. თითქმის ყველა სახის და ტიპის კურორტები მოიპოება ჩვენში.

ჩვენი ქვეყანა მდიდარია აგრეთვე სამკურნალო-მინერალური წყლებით. საქართველოში სხვადასხვა ტიპის 600-ზე მეტი მინერალური წყაროა.

საბჭოთა ხელისუფლების მიერ საკურორტო საქმეზე უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დახარჯულია 42 მილიონი მანეთი. მეორე ხუთწლედში საკურორტო საქმეს მოხმარდება 100 მილიონი მანეთი. საქ. კურორტოლოგიის და ფიზიატრიის ინსტიტუტი აწარმოებს კურორტების ყოველმხრივ შესწავლას. სხვადასხვა სექტორი სწავლობს კურორტების კლიმატურ, გეოლოგიურ, მეტეოროლოგიურ, სანიტარულ მდგომარეობას და სხვ.

უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული საკურორტო კადრების მომზადება-გადამზადებას.

პროფ. **ალადაშვილმა** მოახსენა ყრილობას ბორჯომის წყლის გავლენის შესახებ კუჭის სეკრეციაზე. რამდენიმე წელია მის კლინიკაში წარმოებს ექსპერიმენტალური (ცხოველებზე) და კლინიკური (კუჭით ავადმყოფებზე) დაკვირვება საკითხის ყოველმხრივ შესასწავლად. ჩატარებულმა მუშაობამ სავსებით შეცვალა ძველი შეხედულება ბორჯომის წყლის გავლენაზე. გამოირკვა, რომ ბორჯომის წყალი უზმოზე, საჭმლის წინ კუჭის სეკრეციას აფერხებს; იგივე წყალი მიღებული საჭმელთან ერთად კუჭის სეკრეციას აძლიერებს.

კლინიკური დაკვირვებით გამოირკვა, რომ ბორჯომის წყალი სხვადასხვა დაავადების დროს სხვადასხვანაირ ეფექტს იძლევა. ამიტომ საჭიროა ყველა ცალკე შემთხვევაში წინასწარ კუჭის სეკრეტორულ და მოტორული ფუნქციის შესწავლა. ბორჯომის წყალს ამგვარ გამოკვლევის გარეშე შეუძლია არასასურველი შედეგი მოგვცეს.

ექ. გ. **დიდებულიძე** ეხება ბორჯომის წყლის გავლენას თორმეტგოჯა ნაწლავის სეკრეციაზე და სიმჟავე-ტუტოვანობის წონასწორობაზე.

დოც. პ. **შუშანია** ცხოველებზე (თეთრ თაგვებზე) ჩატარებული ექსპერიმენტების მიხედვით აღნიშნავს, რომ წყალტუბოს წყალი სექსუალურ ჰორმონის ძალზე მომატებას იძლევა. ამიტომ გასაგებია წყალტუბოს წყლის თვალსაჩინო თერაპევტიული ეფექტი სხვადასხვა ქალურ ავადმყოფობათა დროს. (როგ. საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითება, ამენორეა, ანთებადი პროცესები და სხვ.).

ექ. ი. **ასლანიშვილი** აკეთებს მოხსენებას ზემო-სვანეთის, როგორც საკურორტო ადგილის შესახებ და აღნიშნავს, რომ ზემოსვანეთში უხვად არსებობს ყველა საკურორტო ფაქტორი. მზის ულტრა-იისფერი სხივები, შესაფერისი ჰავა, უამრავი მინერალური წყლები. შემჩნეულია, რომ მადნეულო წყლების მიდამოებში ჩიყვი არ მოიპოება. ამიტომ შეიძლება მინერალური წყაროების გამოყენება ამ სოციალური სენის წინააღმდეგ.

დოც. **ცომაია** მოახსენებს ყრილობას აბასთუმანის კლიმატური ფაქტორების გავლენის შესახებ გულის ფუნქციაზე. მომხსენებელმა დაკვირვება მოახდინა 160 ავადმყოფზე. გულის ფუნქციის გამოკვლევა ხდებოდა **მარტინეტის** წესით და **კრომპტონის** ინდექსით. გამოირკვა, რომ აბასთუმანში ავადმყოფთა გულის ფუნქცია კურორტზე მოსვლისას პირველ ხანებში უმცირეს შემთხვევებში სუსტდება, მაგრამ ერთი თვის შემდეგ იგი ისევ ნორმალურ დონეს აღწევს და შემდეგ თანდათან უმჯობესდება.

ფილტვის ტუბერკულოზით დაავადებული ავადმყოფები, რომელთაც აქვთ კომპენსირებული გულის დაავადებანი სრულიად თავისუფლად შეიძლება გაიგზავნონ აბასთუმანში.

სხვადასხვა კურორტზე ჩატარებულ სპეციალური გამოკვლევების შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ: ექ. ვ. **ანდღულაძე,** დოც. **ქავთარაძე** და **ენუქიძე,** პროფ. **ვაჩნაძე** და ექ. **დ. გედევანიშვილი,** ექ. **მინდაძე,** ექ. **კუნჭულია,** ექ. **გოკიელი** (ქუთაისიდან) და სხვები.

ქურდბაცაცები თავისუფლად დადიან
(ტფ. გარეუბნის რაიონი)

უყაირათო და უთავბოლო მუშაობის გარდა ტაბახმელის ბიოკომბინატის ქარხანაში თავი იჩინა სახელმწიფო ქონების მტაცებლობამ. ამ ბოლო დროს აქ რამდენჯერმე მოხდა ქურდობა. ჯერ დაიკარგა 1 ხარი, შემდეგ მოიპარეს 13 ფუთი სიმინდი, შემდეგ გახშირდა ცხენების საკვების ქურდობა; მოიპარეს დაახლოვებით 10 ფუთამდე ქერი, შემდეგ 25 ცალი თუნუქი და სხვა.

უკანასკნელ ხანებში შემჩნეული იქნა, რომ ბიოკომბინატის ქარხნის თანამშრომელი ასლანიშვილი და მისი ამხანაგები ილერდაშვილი სისტემატიურად ეზიდებოდენ ქალაქში გასაყიდად საქონლის ხორცს, რის გატანაც ქარხნიდან სასტიკად არის აკრძალული; (როგორც ჭირიანი საქონლის ხორცი), კიდევ მრავალი ფაქტი შეგვიძლია მოვიყვანოთ იმისა, თუ როგორი სისტემატიური ხასიათი აქვს აღნიშნულ ქარხანაში მტაცებლობას და სახელმწიფო ქონებით სპეკულაციას. ამას ყველაფერს აშკარად ხედავს პარტიული კომიტეტის მდივანი კვანტალიანი და დირექტორი მატარაძე; მათ ისიც იციან, ვინც არის ამ ბნელ საქმის ოსტატები, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სასტიკი ზომები მიიღონ სახელმწიფო ქონების მტაცებლების წინააღმდეგ, ისინი, პირიქით — ლმობიერებას იჩენენ მათ მიმართ. ნ. ყაზარიანცი, ასლანიშვილი, ილერდაშვილი, კალოგინი, და სხვები რამდენჯერმე დაიჭირეს ქურდობაში, მაგრამ მათ დასჯის მაგივრად უმნიშვნელო საყვედური გამოუტანეს და ამით დაკმაყოფილდენ.

ბ. ბ.

ერთი ჰექტარი ვენახი დაუდევრობით გახმა
(სოფ. თეთრაწყარო, ხარაგოულის რაიონი)

სოფ. თეთრაწყაროს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ითვლება **შალიკო ბანცაძე,** რომელიც კოლმეურნეობას ვერ უწევს კონკრეტულ-ოპერატიულ ხელმძღვანელობას; ამის შედეგად კოლმეურნეობაში ქონება ნიავდება. 1933 წელს კოლმეურნეობამ გააშენა ნახევარი ჰექტარი ვენახი; ვენახის მოვლა მიანდეს სერგო ვეფხვაძეს, რომლის ხელში ვენახი გადახმა.

მიმდინარე წელს ამავე კოლმეურნეობამ ხელმეორედ გააშენა ნახევარი ჰექტარი ვენახი, მაგრამ იმავე სერგო ვეფხვაძის დაუდევრობით ეს ვენახიც განადგურდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბანცაძე გულგრილად უყურებს სერგო ვეფხვაძის მავნებლურ მოქმედებას.

კოლმეურნეობის ქონების განიავების ამბავი კარგად იციან სას. საბჭოს თავმჯდომარემ და რაიმიწგანმა, მაგრამ გამნიავებლების წინააღმდეგ ზომებს არ ღებულობენ.

აკ. ჭანკვეტაძე.

ექ. ჭაბუკიანი მოიხსნა სამსახურიდან

ჩვენი გაზეთის ა.-წ. 8 მაისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით „**ერთი სამაგალითო და ერთი ყალთაბანდი ექიმი**". წერილი ეხებოდა ხარაგოულის რაიონის ს. კიცხის საექიმო პუნქტის გამგე ექ. ჭაბუკიანის უმსგავსო მოქმედებას.

როგორც საქ. კ.პ. (ბ) ხარაგოულის რაიკომი გვატყობინებს ჭაბუკიანზე წაყენებული ბრალდებები **მთლიანად დადასტურდა,** რის გამოც ექ. ჭაბუკიანი მოიხსნა სამსახურიდან.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ
„კარგი და უხეირო მუშაობის მაგალითი"

ამ სათაურით გაზ. „კომუნისტის" №117-ში (1934 წ. 22 მაისი) მოთავსებული წერილის შესახებ ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგაულის) რაიკოოპკავშირი გვატყობინებს რომ **წერილში აღნიშული ფაქტები ხუნევის სასოფლო კოოპერატივის მუშაობის შესახებ მთლიანად დადასტურდა.**

კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **გ. გოგლიძე** საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებისა და 1482 მანეთის გაფლანგვისათვის **მოიხსნა თანამდებობიდან და მიცემულია პასუხისგებაში.**

მოანგარიშე **ვ. აბალიშვილი** 1260 მანეთის მითვისებისათვის **მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში.** ხოლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ცქიტიშვილი მიცემული იქნა პასუხისგებაში ზომების მიუღებლობისა და დამნაშავეთა დაფარვისათვის.**

★

აბაშის სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება გვატყობინებს, რომ **მთლიანად დადასტურდა** გაზ. „კომუნისტის" ა.-წ. 20 მაისის ნომერში მოთავსებული წერილი, სამიქაოს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე პავლე ცოტაძის მიერ სახელმწიფო ქონების განიავებისა, მშრომელი გლეხებისადმი უხეშად მოპყრობისა და მათი ცემის შესახებ. **ცოტაძე და სხვა დამნაშავე პირები მოხსნილი არიან სამუშაოდან.**

მარგანეცი

8 ივნისს

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონებით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.026	2.317	76,6

ვაგონების მიწოდება

მოითხოვეს	მიაწოდეს	დაიტვირთა
160	160	151

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭოში

პირუტყვის აღრიცხვის ჩატარების შესახებ

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით მიმდინარე წლის ივნის-ივლისში უნდა ჩატარდეს მთელი პირუტყვის სრული აღრიცხვა ს.ს.რ. კავშირში.

ყველა ხასის და ასაკის პირუტყვის აღრიცხვას კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებში, აგრეთვე ყველა სხვა ინდივიდუალურ მფლობელთა პირუტყვის აღრიცხვას სასოფლო ადგილებში აწარმოებენ ფინსახკომის ორგანოები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების დროს.

პირუტყვის აღრიცხვას სახელმწიფო და კოოპერატიულ სექტორებში, აგრეთვე კერძო მფლობელთა პირუტყვის აღრიცხვას ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ს.ს.რ. კავშირის მთელ ტერიტორიაზე აწარმოებს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო.

საბჭოთა მეურნეობების დირექტორები და ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებსაც ჰყავთ პროდუქტიული და მუშა პირუტყვი როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, ვალდებული არიან პირადი პასუხისმგებლობით წარუდგინონ მიმდინარე წლის 5 ივლისისათვის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სარაიონო და საქალაქო ინსპექტორს ზუსტი და პირადად შემოწმებული ცნობები პირუტყვის ოდენობის შესახებ. ამას გარდა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა იმავე ვადისათვის უნდა წარუდგინონ ცნობები, თუ რამდენი პირუტყვი ჰყავთ მუშებსა და მოსამსახურეებს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე.

მოსახლეობის ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი მუშა და პროდუქტიული პირუტყვის აღრიცხვას აწარმოებენ საქალაქო და სადაბო საბჭოები იმ ვადებში და იმ ფორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს მიერ.

პირუტყვის აღრიცხვას სოფლად აწარმოებენ სასოფლო საბჭოები სასოფლო საგადასახადო კომისიების მეშვეობით. პერსონალური პასუხისმგებლობა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე პირუტყვის მთლიანად და სწორად აღრიცხვისათვის ეკისრებათ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს. საგადასახადო კომისიები დამტკიცებულ უნდა იქნან რაიაღმასკომის მიერ და ისინი უნდა შედგებოდნენ პოლიტიკურად შემოწმებული ადამიანებისაგან.

პირუტყვის სრულად აღრიცხვის შესამოწმებლად სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო ვალდებულია აღრიცხვის დამთავრებისთანავე ჩაატაროს ყველა რაიონში პირუტყვის ნატურალური შემოწმება მეურნეობების და კოლმეურნეობების 10 პროცენტში.

ადგილობრივმა საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა საგადასახადო აღრიცხვის და განსაკუთრებით პირუტყვის აღრიცხვის მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე მოაწყონ აღრიცხვის გატარების საზოგადოებრივი კონტროლი.

მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოები, სამხარეო, საოლქო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მუშაობა საგადასახადო აღრიცხვის და საკონტროლო ჩამოვლის ხაზით შემოწმებული და ტექნიკურად მომზადებული მუშაკებით, აგრეთვე დაუთმონ მათ საჭირო გადასაზიდი საშუალებანი.

აკრძალულია იმ მუშაკთა მობილიზაცია სხვა რაიმე სამეურნეო კამპანიებისათვის, რომლებიც მუშაობენ აღრიცხვის ჩატარებაზე.

პროკურატურას დაევალა სამართალში მისცეს ის პირნი, რომლებიც დამნაშავენი იქნებიან აღრიცხვის ჩაშლაში ან სახელმწიფო აღრიცხვისაგან პირუტყვის დამალვაში და უზრუნველყონ აღნიშნული საქმეების დაუყოვნებლივ განხილვა.

ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს წარმოადგინოს ა. წ. 15 სექტემბრისათვის პირუტყვის აღიცხვის წინასწარი შედეგები (ადს).

*

მოსკოვი, 6 ივნისი. სასოფლო-სამეურნეო კომუნათა წევრების მიერ პირადი სარგებლობის მიზნით პირუტყვის შეძენის გასაადვილებლად, საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ ნება დართო კომუნების გამგეობებს კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში გადასცენ ძროხები, საფურე ხბოები, აგრეთვე წვრილფეხა პირუტყვი, ფრინველი და განსაზოგადოებულ ნაგებობათა ნაწილი, რაც აუცილებელია კომუნარების მიერ პირუტყვის შესანახად. გადაცემული პირუტყვის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კომუნების განსაზოგადოებული პირუტყვის ერთ მესამედს. კოლმეურნეებისათვის პირუტყვის გადაცემა ხდება ფასგადახდით სახელმწიფო დამზადებათა ფასებში; ღირებულება კოლმეურნეებმა უნდა გადაიხადონ ნაწილ-ნაწილად სამი წლის განმავლობაში. (ადს).

◆◆◆

ვიწვევთ სოცშეჯიბრებაში ამიერ-კავკასიის ყველა სასოფლო საბჭოს

საუკეთესო სასოფლო საბჭოებზე საკავშირო კონკურსის წარმატებით ჩატარებისათვის ოზურგეთის რაიონის ლიხაურის სასოფლო საბჭო ღებულობს შემდეგ ვალდებულებებს და სოცშეჯიბრებაში იწვევს ამიერკავკასიის ყველა სასოფლო საბჭოს:

1. 1934-35 სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის: 25 აგვისტომდე ავაგებთ ლიხაურის არასრულ კომპლექტიანი საშუალო და დაწყებითი სკოლის, ქაქუთისა და ჭანიეთის სკოლების ახალ შენობებს. დავასრულებთ 5 სასკოლო შენობის შეკეთებას თვრამეტი ოთახის რაოდენობით.

2. 20 აგვისტომდე დავამზადებთ 100 ახალ პარტას და შევაკეთებთ 60.

3. 15 აგვისტომდე სკოლებისათვის დავამზადებთ შეშას 20 კუბ. საჟ.

4. დაწყებითი და არასრული კომპლექტის საშუალო სკოლებისთვის ა.-წ. სექტემბრამდე შევიძენთ ორ სამუშაო ოთახს, ორ სახელოსნოს, 4 საბავშო ბიბლიოთეკას, 3 საბუნებისმეტყველო კაბინეტს და ერთ ფიზიკურ კაბინეტს.

5. უზრუნველვყოფთ მასწავლებლების ხელფასის დროზე გაცემას, ყველა მასწავლებელს დავაკმაყოფილებთ ბინით, გათბობა-განათებით და მომარაგებით.

6. უზრუნველვყოფთ სახელმძღვანელოებისა და ყველა საჭირო სასწავლო ნივთის სკოლებამდე დაყვანას 25 აგვისტომდე.

7. ასი პროცენტით გავატარებთ დაწყებითი სკოლების ფარგლებში სავალდებულო სწავლების და დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულებს მთლიანად მოვათავსებთ მე-5 კლასში.

8. უზრუნველვყოფთ ყველა სკოლის დაკმაყოფილებას მიწის ნაკვეთით განსაზღვრული ნორმების მიხედვით.

9. ადგილობრივი ბიუჯეტით სასკოლო მშენებლობისათვის გათვალისწინებულ თანხას მთლიანად გამოვიყენებთ პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

საგზაო მშენებლობის ხაზით ივლისიდან - [illegible]ომბრამდე 1. გავაკეთებთ: სათემო ცენტრისა და ნიაბაურის უბნის გზას 3 კილომეტრზე, ლიხაურ-ჭანიეთის უბნის გზას 3,5 კილომეტრზე, ჩაის პლანტაციის მთავარ გზას 4 კილომეტრზე. კაპიტალურად შევაკეთებთ ოზურგეთ-ლიხაურის მთავარ გზას 6 კილომეტრის მანძილზე. აგრეთვე კაპიტალურად შევაკეთებთ ნოკიფისა და ზემო ნიაბაურის ხიდებს 2. სამაგალითოდ მოვუვლით სავტო-საჭაპანო გზებს ისე, რომ სოფ. საბჭოს გზები განუწყვეტლად უზრუნველყოფდეს სავტო მიმოსვლას.

3. საგზაო სამუშაოებზე 100 პროც. გამოვიყენებთ შრომითი ვალდებულ პირებს.

4. გზების მოვლა-შენახვის მიზნით ტექნიკური მინიმუმის ათვისებისა და გზების მშენებლობაში ტექნიკის დაუფლებისათვის ყველა სოფ. სამკითხველოსთან შევქმნით საგზაო ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეებს.

მთელი ამ მუშაობის წარმატებით შესრულებისათვის ფართოდ გავშლით შრომის სოც. მეთოდის სოც. შეჯიბრებას და დამკვრელობას.

არბიტრად ვასახელებთ ამიერკავკასიის და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებს, რომელთაც ვთხოვთ ყოველთვიურად მოახდინონ ჩვენ მიერ მიღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება.

ლიხაურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნ. მეგრელიშვილი.

წყალტუბო

სურათზე: ზევით — არხი, რომელშიაც გადაგდებული იქნება მდ. წყალტუბო, შუაში — ახლად შეკეთებული № 1 აბანოს შენობა, მარჯვნივ — აბანო № 2.

წყალტუბო თანდათან უფრო პოპულარული ხდება მშრომელთა მასებში. წყალტუბოს ყოველწლიურად აუარებელი ავადმყოფი აწყდება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. მაგ.-ლ., 1933 წელს წყალტუბოში 20.000-დე ავადმყოფი იყო.

წელს დიდი მუშაობა ჩატარდა კურორტის კეთილმოსაწყობად. გაყვანილია არხი მდ. წყალტუბოს ახალ კალაპოტში გადასაგდებად, რითაც აბანოები დაცული იქნება წყალდიდობის დროს მდინარის წყლით ავსებისაგან.

შეკეთებულია ყველა (ხუთივე) აბანო, რომელთა გამტარუნარიანობა აყვანილია 6.000 კაცამდე დღეში. შეკეთებული და გაფართოებულია პირველი და მეორე სანატორიუმების შენობა. პირველ სანატორიუმთან აგებულია ახალი კულტურული სახლი. მოწყობილია პოლიკლინიკა რენტგენის კაბინეტით, სამალარიო და სასანიტარო სადგურები. ჰიგიენურ აბანოსთან გახსნილია ავადმყოფთა ტანსაცმლის სადეზინფექციო კამერა.

კურორტის გამწვანების მიზნით, წყალტუბოს ირგვლივ დარგულია ფიჭვი და მუხა 75 ჰექტარზე. თვით კურორტის შიგნით, 10 ჰექტარის ფართობზე დაწყებულია კულტურის და დასვენების პარკის გაშენება, რაზედაც წელს დაიხარჯება 250.000 მანეთი.

მეცნიერება & ტექნიკა

საქართველოს ლითოგრაფიული ქვები

ლითოგრაფიული ქვები საბჭოთა კავშირს უკანასკნელ დრომდე შემოჰქონდა გერმანიიდან. 1927 წლიდან, საქართველოში აღმოჩენილმა ალგეთის ლითოგრაფიულმა ქვებმა ძლიერ შეამცირა გერმანიიდან ამ ქვის იმპორტი, (155000 ოქროს მანეთიდან 19000 მ. დასწია).

ამ ბოლო დროს ალგეთის ქვას ზოგიერთი ტექნიკური ნაკლი აღმოაჩნდა, რომელიც დამოკიდებულია მის მიკროსტრუქტურაზე და საბჭოთა პოლიგრაფიას ისევ ზოლენ ჰოფენის (გერმანია) ქვა გაახსენდა. მაგრამ აქ ალგეთის შემცვლელად გამოვიდა თიანეთის ლითოგრაფიული ქვა, რომელიც 1934 წლის თებერვალ-მარტში მოსკოვში ჩატარებულ ცდების მიხედვით, მეტად მაღალი ხარისხისა აღმოჩნდა. მოსკოვის სპეციალისტების აზრით, თიანეთის ქვის გასინჯული ნიმუშები თავიანთი ხარისხით ზოლენ ჰოფენის ქვას არ ჩამოუვარდებიან და ზოგიერთი ტექნიკური მაჩვენებლებით მასზე უკეთესია (ბეჭდვის ხანგრძლივობა და სხვა).

მაგრამ თიანეთის ქვის სამრეწველო დამუშავებას ერთი ძირითადი გარემოება აფერხებს: ეს არის ფიზიკო-ქიმიურ კონტროლის დაუცველობა ქვის დამუშავებაში, უმთავრესად მის გაშრობაში. საჭიროა ქვის მორიდება ტემპერატურის ძლიერ რყევისაგან დღე-ღამის განმავლობაში და რაც მთავარია მტკიცე რეჟიმის დაცვა მის გაშრობაში მიწიდან გამოღების შემდეგ, სწრაფად გაშრობისას, ქვებში არსებული კაპილარული მილები ვერ ასწრებენ ამ წყლის ორთქლის გამოშვებას, რომელიც ჩნდება ქვაში ბუნებრივ სინესტის, ხარჯზე და ქვა სკდება. საბჭოთა კავშირს, ესაჭიროება ყოველწლიურად 800—1000 ცალი ქვა, თვითეული ღირებული 300 — 500 მან. ოქროთი და ის გარემოება, რომ თიანეთში გამოღებული 100 ქვიდან 98-99 და ხან ყველა 100 სკდება, შემდეგში აღარ არის მოსათმენი. ამ მხრივ საქ. მს. მრ. სახკომატის საამშენებლო მასალათა სამმართველო უკვე ღებულობს სათანადო ზომებს ქვების გაშრობის ტექნიკის გასაუმჯობესებლად.

ინჟ. პ. ცისკარიშვილი.

—

ახალი დიდი რეფრაქტორი აბასთუმნის ობსერვატორიისათვის

საქართველოს განსახკომმა მიიღო გერმანული ფირმის ახალი რეფრაქტორი და მისთვის გამართული სპეციალური ელექტროფიცირებული თალი. რეფრაქტორი დაიდგმება აბასთუმანში პლატო ყანობილზე, სადაც დაიწყება საკავშირო მნიშვნელობის სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის მშენებლობა. პლატო ყანობილი დაათვალიერეს ლენინგრადიდან საკომანდიროოდ ჩამოსულმა ასტრონომიული ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ნუმეროვმა, საკავშირო სამეც. აკადემიის უფროსმა ინჟინერმა ბრატკოვმა, ტფ. სახ. უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. აღნიაშვილმა და სხვ.

რეფრაქტორის მონტაჟი განზრახულია დაიწყოს აგვისტოში. ახლა წარმოებს მისი გადატანა ბორჯომიდან აბასთუმანში.

მზადება 1936 წლის მზის სრული დაბნელებისათვის

საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე ს. ს. რ. კ-ის სამეცნიერო აკადემიასთან ჩამოყალიბდა 1936 წლის მზის სრული დაბნელების შესწავლისათვის მოსამზადებელი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს აკადემიკოსი გ. კრჟიჟანოვსკი. კომისიის მიზანია უზრუნველყოს ამ მოვლენის შესწავლა-დაკვირვება საკავშირო ასტრონომიული ობსერვატორიების ძალებით და აგრეთვე ხელი შეუწყოს ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობაში იმ მრავალრიცხოვან ექსპედიციებს, რომელნიც უცხოეთიდან მოემგზავრებიან ჩვენს კავშირში მზის დაბნელების შესწავლის მიზნით.

კომისიის მუშაობაში სხვა ასტრონომიულ დაწესებულებებთან ერთად მონაწილეობას იღებს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიაც.

დოღი

ცხენების შეჯიბრებაში ტფილისის იპოდრომზე წელს, სხვა ცხენთსაშენებთან ერთად, მონაწილეობას ღებულობს უკრაინის ვოროშილოვის სახელობის ცხენთსაშენი, რასაც დიდი ხალისი და ინტერესი შეაქვს შეჯიბრებაში.

მეშვიდე დღეს, 6 ივნ[illegible] გათამაშდა ორი დიდი ჯილდო ორწლიან და სამწლიან ნახევრად წმინდა ცხენებისათვის.

ორ-წლიანთა დოღში პირველობა აიღო „ფეშვლმა" (მუხროვანის ცხენთსაშენი), რომელმაც მანძილი 1.200 მეტრი ერთ წუთსა და 22 წამში დაფარა.

სამ-წლიანთა შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მოვიდა „პასივი" (ვოროშილოვის სახ. ცხენთსაშენი, უკრაინა). მანძილი 2400 მეტრი „პასივმა" ორ წუთსა და 44 წამში დაფარა.

მესამე ჯილდო, „სიროკოს" სახელობის მოიგო „გიზელამ" (მუხროვანის ცხენთსაშენი), 1.200 მეტრი დაფარა ერთ წუთსა და 20 წამში.

დანარჩენ დოღებში ფინიშთან პირველი მოვიდა „მალვა" (ვოროშილოვის სახ. ცხენთსაშენი, უკრაინა), „მელოდიჩნაია" (ჩრდილოეთ-კავკასია, ცხენთსაშენი „ვოსხოდი"), „ლიმართოვკა" (ვოროშილოვის სახ. ცხენთსაშენი, უკრაინა).

მოხალისეთა შეჯიბრებაში ფინიშთან პირველი მოვიდა „პიკადორი" (საზოგადოება „დინამო"; მოჯირითე რუსანოვა, რომელმაც დისტანცია 16.000 მეტრი ორ წუთსა და 12 წამში დაფარა.

◆◆◆

ს.ს.რ. კავშირის დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 7 ივნისი. ა.-წ. 21 მაისს საბჭოთა პრესის ზოგიერთ ორგანოში გამოქვეყნდა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ კიევიდან დაგზავნილი დეპეშა იმის შესახებ, თითქოს, იქ შედგა „მასწავლებელთა ინტერნაციონალური კონგრესი".

საკავშირო დეპეშათა სააგენტომ ეს დეპეშა მიიღო უკრაინის დეპეშათა სააგენტოსაგან. ნამდვილად საკავშირო დეპეშათა სააგენტო შეცდომაში იქნა შეყვანილი, რადგან მასწავლებლების არავითარი ინტერნაციონალური კონგრესი კიევში არ ყოფილა. ცნობა კონგრესის შესახებ მოგონილია. (ადს).

რუსთაველის თეატრის 10 წლის იუბილესათვის

დღეს იწყება საიუბილეო კვირეული

დღეს იწყება რუსთაველის თეატრის ათი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო კვირეული, რომელიც 14 ივნისამდე გასტანს. საიუბილეო კვირეული იხსნება „ანზორ"-ის 170-ე დადგმით.

საიუბილეო კვირეულის წარმოდგენებზე (9, 10, 11 და 12 ივნისს) თეატრი უმასპინძლდება მაყურებელთა მასებს არა მარტო სპექტაკლის ჩვენებით, არამედ ანტრაქტებში კონცერტით და საესტრადო ნომრებით. დღეს, მაგალითად, „ანზორის" წარმოდგენაზე მისული მაყურებელი იხილავს, თუ როგორ ემზადებიან მსახიობები პიესაში გამოსასვლელად, როგორ ხელმძღვანელობს რეჟისორი პიესის მიმდინარეობას, სცენა და მაყურებელთა დარბაზი გაერთიანებული იქნება, მოხდება მსახიობების დაახლოება მაყურებლებთან.

წარმოდგენაზე დასასწრებად მუშა-მაყურებლები თეატრის საშეფო საწარმოებიდან და წითელი არმიის ნაწილებიდან მოვლენ ორგანიზებულად. მაყურებლებს შეხვდება თეატრის მუშაკთა კოლექტივი.

თეატრის მუზეუმის გახსნა

დღეს, საღ. 6 ნახევარ საათზე, რუსთაველის თეატრის ფოიეში შესდგება ამავე თეატრის მუზეუმის გახსნა. მუზეუმის ექსპონატები შეგროვილი და სისტემატიზირებულია თვით თეატრის მუშაკთაგან.

მუზეუმის გახსნას დაესწრებიან ადგილობრივი და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების პრესის წარმომადგენელნი, რომელნიც იუბილეზე დასასწრებად არიან ჩამოსულნი.

„ანზორ" — მე-3 აქტი. დადგმა ს. ახმეტელის. მხატვარი — ირ. გამრეკელი.

ამინდი საქართველოში

—:—

(7 ივნისის დილის 8 საათიდან 8 ივნისის დილის 8 საათამდე)

დასავლეთ საქართველოში იდგა უმთავრესად, მშრალი და მზიანი ამინდი. ტემპერატურა ყველგან მაღალი იყო და აღწევდა დღისით 31 გრადუსამდე (სამტრედია), ხოლო ღამით ტემპერატურა ცვალებადი იყო 12 გრადუსიდან (ონის რაიონი) 20 გრადუსამდე (სოხუმი, ბათომი). ქროდა სუსტი ზომიერი ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში იდგა მშრალი და უმთავრესად მზიანი ამინდი. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 21 გრადუსიდან (ახალქალაქი) 32 გრადუსამდე (ტფილისი, ყარაია), ხოლო ღამით 7 გრადუსიდან (აბასთუმანი, ახალქალაქი) 17 გრადუსამდე (ტფილისი).

მოსალოდნელი ამინდი 10 ივნისამდე: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლულობის მომატება, სუსტი წვიმა და ტემპერატურის მცირე დაკლება და სუსტი ქარი.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა და წვიმა. მდ. მტკვრის ხეობაში მოსალოდნელია დასავლეთის საკმაოდ ძლიერი ქარი. მთელ აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ტემპერატურის მცირე დაკლება.

◆◆◆

ახალი წიგნები

გამოვიდა: ფრ. ენგელსი — კაპიტალის კონსპექტი.

სტალინი — კომკავშირის შესახებ.

გ. მგალობლიშვილი — საქართველოს სახალხო მეურნეობა 1934 წ.

პოდროცკი — საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობა და საბჭოთა კავშირის თავდაცვა.

იყიდება პარტგამომცემლობის ყველა მაღაზიასა და კიოსკში.

პარტკალენდარი

— 9 ივნისს საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილებაში მოწვეულია თათბირი საქ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა დამუშავების მიმდინარეობის საკითხზე. თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ლიუდვიგოვი (ა-კ. სამხ. კ-ტი), შარია, დემეტრაძე (ტფ. კ-ტი), ცეცხლაძე (აბრეშუმის ფაბრიკა), მარქაროვი, ღამბაროვი (ტფ. სამ. საზ. კავშირი), ბახტაძე (მედინსტიტუტი); ხერუმოვი კანანოვი („მკერავი" № 2), ტრამვაის პარტკომის მდივანი. ა-კ. დეპეშათა სააგენტოს, „კომუნისტის", „ტიფლისკი რაბოჩის", „პროლეტარის" და „ზარია ვოსტოკას" რედაქციების წარმომადგენლები. სტალინის, ლენინის, ორჯონიკიძის და 26 კომუნართა რაიკომების მდივნების მოადგილეები, აგრეთვე ც. კ-ის ინსტრუქტორები: ბარიგიანი, ბრეგაძე, ბრეგვაძე, კერესელიძე და კულიჯანოვი, არტ. ალიბეგაშვილი („კოლექტივიზაცია").

—

ს.კ.პ. (ბ) ტფ. ორჯ. გ-უბნის რაიკომი იუწყება, რომ 10-ივნისს, დილის 10 საათზე (ვაზნის ქ: №-14) მოწვეულია რაიკომისა და რაისაბჭოს გაერთიანებული პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით: მოსავლის დამუშავება-აღებისა და დამზადების შესახებ.

—

9 ივნისს საღამოს 7 საათზე ლენინის რაიკომის პარტ-კაბინეტთან ამხ. ვაშაყმაძის, ჭკუასელის და მირცხულავას ხელმძღვანელობით მოწვეულია პროპაგანდისტთა მორიგი სემინარი. თემა: „მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის ამაღლება".

რუსთაველის თეატრი
[illegible]

საიუბილეო საზეიმო წარმოდგენები

დღეს	10 ივნისს	11 ივნისს
„ანზორ"	„ლამარა"	„რღვევა"

სალარო ღიაა 11—2 ს. 5—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 5-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი კომედია „მექანიკური გამცემი" იგორ ილინსკის მონაწ.
დამკვრელი საზაფხ. 9, 11	ახალი ფილმი „მეფის მეზღვაურები"
დამკვრელი საზამთ. 5-30, 6-30, 10-30, ფოიეში ჯაზი	
თემკა (საზამთ.) ყიამ. 9, 11 (საზაფხ.)	„უმცროსი შვილი" გაროლდ ლოიდის მონაწ.
ეთერი საზაფხ. 9, 11	მესამე კვირა კომედია „ჟუჟუნას მზითევი"
„26"-ის სახ. ყიამ. 6 30, 8.15, 10.	მხატვრ. სურათი „ჟუჟუნას მზითევი"
რ. ლიუქსემბურგის სახელობის 7. 7. 11	მეორე კვირა ხმოვანი ფილმი „ჭექა-ქუხილი"
„კომინტერნი" საზაფ. (დიდუბე) 9. 11	უცხოეთის კომედია „ნეპტუნი"

ზოოტექნიკურ—ვეტერინარული
ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ზოოტექნიურ და სავეტერინარო ფაკულტეტზე განცხადებები მიიღება 10 ივნისიდან 30 ივლისამდე. გამოცდები იწარმოებს 1—10 აგვისტომდე.

მიღების პირობები იხილეთ 4 ივნისის გაზეთ „კომუნისტ"-ში

ინსტიტუტის დირექტორი ს. თოხაძე

1—1 ნ. 245

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ.

სამხედრო წიგნაკები

გიორგი მიხეილის-ძე მჭედლიშვილის, ქიტესა ლევდაშვილის და ანოს გიორგის ძე სიბაშვილის

სხვა და სხვა

9 წლედის დამთავრების მოწმობა № 320 ნეონილა შურღაიასი. შოფერის მოწმობა ქეტევა ლევდაშვილის; პასპორტი № 102737 ელო ივანეს-ასულ გოგიბაიძის. პენსიის წიგნაკი № 189 და პირად. მოწ. № 5 ივანე მჭედლიშვილის. საშუალო სასწ. დამთავრების მოწ. № 110 მარიამ გოგიშვილის. პირადობის მოწმობ. № 2118 თამარა ებანქველიძის. სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლექტივის რგვალი ბეჭედი ჩ. გ.

საქართველოს ს ს რ. მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის ტფ. ინდუსტრიალური მუშფაკი აცხადებს 1-ლ კურსზე მიღებას 1934—35 სასწავლო წლისათვის

მიღება იწარმოებს ქართულ, რუსულ და სომხურ სექტორზე. მუშფაკის სამივე სექტორზე მიიღება 200 კაცი. მუშფაკში საერთო საცხოვრებლის უქონლობის გამო მიიღებიან განსაკუთრებით ტფილისის წარმოებათა ორივე სქესის მუშები 18-დან 30 წლამდე სამი წლის საწარმოო სტაჟით, ხოლო კ. პ. (ბ) წევრები და კანდიდატები და კომკავშირელები 2 წლის სტაჟით.

შენიშვნა: წითელ არმიაში მყოფ. ახლა წარმოებებში მომუშავე მუშებს, აგრეთვე კოლმეურნეებს—ქალებს და მამაკაცებს ეთვლებათ საწარმოო სამუშაო სტაჟი.

მისაღები გამოცდები

იწარმოებს ა/წ 15 აგვისტოდან 1-ლ სექტემბრამდე, შემდეგ საგნებში. 1. არითმეტიკაში (მთელ რიცხვებზე, ჩვეულებრივ წილადებზე და ათწილადებზე 4 მოქმედების ფარგლებში), 2. მშობლიურ ენაში კითხვა და გრამატიკულად სწორი წერა და 3. პოლიტცოდნაში. გამოცდებზე დაგვიანებით გამოცხადებული პირები არ დაიშვებიან მსურველებმა 1-ლ ივლისამდე მუშფაკის კანცელარიაში უნდა შეიტანონ განცხადება და შემდეგი საბუთები: 1 მოწმობა დაბადების შესახებ 2 სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულება, 3. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ, 4. ცნობა სოციალური მდგომარეობის და წარმოშობის შესახებ 5. ცნობა დაბეგვრის შესახებ, თუ სოფელთან აქვს კავშირი, 6. ორი ფოტოგრაფიული სურათი.

მოსწავლეთა მომზადებული კონტინგენტის შერჩევის მიზნით მუშფაკის დირექცია აცხადებს, რომ განცხადებების მიღება წინასწარ ჩატარდება 1-ლ ივლისამდე და თითეულ მსურველს შეუძლიან კონსულტაციური ხასიათის ყოველგვარი ცნობების მიღება მუშფაკის სასწავლო ნაწილში.

მუშფაკის მისამართი: [illegible] ქუჩა № 28.

მუშფაკის დირექტორი როხტიაშვილი.

1—1 ნ. 238

ექიმი
ლ. ა. ფალავა

შარდ-სასქ. ორგ. სიფილისი და ვენერიული სნეულებები მიღ. საღ. 7—9 ს. კლ. ცეტკინის ქ. № 148 (რკ. გზ. სამმართველოს ახლოს)

5—1 ქვ. 3432

ექიმი
ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილ. 8—9 საათ. და საღ. 6½ ს.—8½ ს. მისამართი: კამოს ქ. № 72 ალექსანდროვის საავად პირდაპირ)

მომავალ გამოცდ. ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკასა და რუსულში ვასწავლი უცოდინარეებს არითმეტიკასა და ბუღალტერიას მოანგარიშის თანამდებობისათვის

პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. 5) ნახვა 8—12 ს. 7—8 ს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტის მიღების პირობები

1934 წლის 15 სექტემბრიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტში იწარმოებს ახალი ასპირანტების მიღება შემდეგ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ პოლიტიკურ დისციპლინებში:

1. ფიზიკაში 4, 2. ქიმიაში 7, 3. ბოტანიკაში 3, 4. ზოოლოგიაში 2, 5. გეოლოგიაში 1, 6. ისტორ. დისციპლინებში 7, 7. გეოგრაფიაში 2, 8. ალგებრა-გეომეტრიაში 3, 9. მინეროლოგიაში 2, 10. ფიზიოლოგიაში 1, 11. დარგობრივ ეკონომ. 3, 12. ეკონომ. გეოგრაფიაში 1, 13. საქ. ლიტ. ისტორია 1.

1. ასპირანტურაში როგორც წესი მიიღება პიროვნება 35 წლამდე, რომელსაც დამთავრებული აქვს უმაღლესი სასწავლებელი და გააჩნია შესაფერისი კათედრების დახასიათება.

2. ასპირანტურაში შემსვლელ პირთათვის სავალდებულოა საფუძვლიანად რუსული ენის ცოდნა.

3. ასპირანტების მომზადების დრო განისაზღვრება 3 წლით.

4. ასპირანტურაში მიღებული ასპირანტი ღებულობს სტიპენდიის სახით 250 მანეთს და ეკრძალება რაიმე სამუშაოს შეთავსება სამსახურის სახით, ასპირანტურის დამთავრებამდე.

5. ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე მსურველები დაიშვებიან მხოლოდ სამანდატო კომისიის გავლის შემდეგ.

6. ასპირანტურაში შემსვლელებმა როგორც წესი უნდა ჩააბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიურ მატერიალიზმში, რუსულ ენაში, უცხო ენაში და თავის სპეციალობის საგანში.

შენიშვნა: საბუნებისმეტყველო დისციპლინის ასპირანტები პოლიტეკონომიას არ აბარებენ.

7. ასპირანტურაში მიღებისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ა) განცხადება შესაფერისი სპეციალობის მიხედვით, ბ) შევსებული და შემოწმებული ანკეტა, გ) პარტიული და პროფეს. ორგანიზაციების მივლინება, დ) მოწმობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ ვ) მოკლე ავტობიოგრაფია. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. ზ) სამეცნიერო ხასიათის დაბეჭდილი ან ხელთნაწერი შრომები ლ) ასპირანტების ზუსტი მისამართი.

8. განცხადებებს და დოკუმენტებს განიხილავს სამანდატო კომისია.

9. განცხადებების მიღება იწარმოებს 10 ივნისიდან პირველ ივლისამდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან და გაგრძელდება 20 სექტემბრამდე.

10. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურის ინსტიტუტში შემსვლელთა ანკეტის ფორმა:

1. გვარი, სახელი და მამის სახელი. 2. დაბადების დრო და ადგილი, 3. ეროვნება, 4. სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულება. 5. სოციალური წარმოშობა. 6. ოჯახური მდგომარეობა (ოჯახის შემადგენლობა), 7. პარტიულობა 8. სად და რა სახის საზოგადოებრივ მუშაობას აწარმოებდა სამი უკანასკნელი წლის განმავლობაში (პარტ. კომ. და პროფეს.) 9. განათლების ცენზი (სად, რომელი უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა). 10. რომელ დისციპლინაში სპეციალდება, 11. რომელი უცხო ენა იცის და რამდენად. 12. აქვს თუ არა ხელთნაწერი ან დაბეჭდილი სამეცნიერო ხასიათის შრომები (სად, და როდის იქმნა გამოქვეყნებული). 13. უმაღლესი სასწავლებლის, კათედრის ან პროფესორის დახასიათება (თან უნდა დაერთოს). 14. ზუსტი მისამართი, ტელეფონი — ანკეტის შევსების დროს.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ლ. აღნიაშვილი.

ასპირანტურის ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი შ. სიხარულიძე.

ამ. კავ. რკინის გზათა მშენებლობის სამმართველოს ტფილისის რკინის გზის სასწ. კომბინატი

აცხადებს,

რომ ა. წ. 10 ივნისიდან 10 აგვისტომდე იწარმოებს განცხადებების მიღება და ანკეტების გაცემა რკ. გზის საამშენებლო ტექნიკუმში შემსვლელთათვის შემდეგ პროფილებსა და სექტორებზე:

1. რკ. გზების საგზაო-საგამოკვლევო—ქართული და რუსული სექტორი.
2. ხელოვნურ ნაგებობათა (ხიდების), რუსული სექტორი.
3. სახლების მშენებლობის—ქართული სექტორი.

განცხადებას შემდეგი საბუთები უნდა დაერთოს: 1. დაბადების მოწმობა, 2. განათლების მოწმობა, 3. სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების მოწმობა, 4. საბუთები შემსვლელისა და მისი მშობლების სოციალური მდგომარეობის და სტაჟის შესახებ, 5. ჯანმრთელობის მოწმობა და ცნობა ყვავილის აცრის შესახებ, 6. შემსვლელის დამახასიათებელი სხვა დოკუმენტები, რომელთა წარმოდგენასაც ის მოისურვებს: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მიცემული შეფასება სასწავლო და საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ, 7. დაწესებული ფორმის ანკეტა შემოწმებული სახელმწიფო დაწესებულების ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ, 8. 3 ფოტოგრაფიული სურათი სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ შემოწმებული საკუთარი ხელის მოწერით. დოკუმენტი უნდა წარდგენილ იქნას დედნების სახით.

ყველა შემსვლელი საქმიო შემოწმების შემდეგ გაივლის მისაღებ გამოცდას შვიდწლედის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. მათემატიკა (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია), 2. ფიზიკა, 3. ქიმია, 4. საზოგადოებათამეცნიერება, 5. მშობლიური ენა.

მისაღები გამოცდები დაიწყება 19 აგვისტოდან. მეცადინეობა დაიწყება 1934 წლ. 1 სექტემბრიდან.

განცხადებების, სხვადასხვა ცნობის მიღება და ანკეტების გაცემა იწარმოებს ყოველდღე კომბინატის კანცელარიაში დღის 12—3 საათამდე. კონტიგენტის მიღების უკეთ ჩატარებისათვის ამ/წ. 25 ივნისიდან ტექნიკუმთან იხსნება ორთვიანი მოსამზადებელი კურსები (ქართული და რუსული სექტორი).

რკ. გზის სასწავლო კომბინატის უფროსი ლ. ი. ლეჟავა

1—1 მისამართი: ტფილისი, დიდუბის ქ. № 21. ნ. 238

დამწუხარებულნი მშობლები: მარო, კოსტა, ძმები: გივი, ავთანდილი, ბებია ეკატერინე ბაბუა გიორგი, ბიძა პავლე ბერიძეები დასტირიან პატარა
ლილის
უდროოდ დაკარგვას. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. წყაროს ქ. № 72

ექიმი შალვა ბესარიონის ძე კვინიხიძე, მეუღლე ნინო, შვილები ეთერი, ქეტუცი იუწყებიან საყვარელი დედის და დიდედის
ნადეჟდა ალექსის-ასულ კვინიხიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 ივნისს 5 საათ. ქ. ქუთაისში.

საქ. ღარიბკომის სუჯუნის განყოფილების გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ცენტრალურ გამგეობის თავმჯდომარის ამხ. აბრამ იზრაელის-ძე ლიპეცკის დედის
რებეკა სოლომონის-ას. ლიპეცკის
გარდაცვალების გამო.

დედა სოფიო, მეუღლე ბარნაბი, ძმები ბიძინა, ჩიკა, ბებია დესპინე, დეიდები: ლიდა გალინა, ბიძებით ჩხეიძეები, იუწყებიან 12 ივნისს 5 ს. ქ. ზესტაფონში დანიშნულია
ელისო ჟორდანია - ცხომელიძის
სამოქ. პანაშვიდი.

ქალიშვილი სოფიკო, სიძე ვანო ჭირაქაძე პატარა ნანულით მწუხარებით იუწყებიან საყვარელ და ძვირფასი დედის
ნატალია დავითის-ასულ ჭურციკიძის
გარდაცვალებას, დაკრძალვა 9 ივნისს ზესტაფონში.

დამწუხარებული: ბიძა ვასო, ბიცოლა მარო შვილი ნაზიკოთი ეგოროვები იუწყებიან ძვირფას, საყვარელ ძმისშვილის
ლიალიკო ეგოროვას
უდროვოთ გარდაცვალებას დაკრძალვა ქ. ბათომში 9-ივნისს ტფილის ქ. № 74.

უახლოესი მეგობრები: ნადია ანეტა, კაკნაძე მარო, ელენტი მიხეილი, საყვარელიძე ვასილი, და ასათიანი ნოე ვიზიარებთ მანია ბარხუდაროვას მწუხარებას მისი მამის
არტემ ბარხუდაროვის
გარდაცვალების გამო.

გულმოკლული მშობლები ანიკო, გალაქტიონი, და თამარა, ძმა პეტრე, ბებია ევაკია კვინიკაძეები იუწყებიან, რომ 12 ივნისს 5 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ტასიკო გალაქტ.-ას. კვინიკაძის
ქ. ზესტაფონში.

თავზარდაცემული მშობლები: ოლღა, რომანოზი, იუწყებიან საყვარელი შვილის სტუდენტ.
ამბროსი ვეფხვაძის
გარდაცვალებას ქ. ტფილისში. სამოქ. პანაშვიდი დღეს 7 ს. ნიაღვრის ქ. № 11, გასვენება სადგურიდა 10 ივნისს 4 ს. დაკრძალვა ხაშურში 12 ივნისს.

შვილიშვილები: მარო, დათიკო ცოლშვილით, ვენერა როინიშვილები, ლენა ქმრით ლეო, ქეთო ჰიდლაშვილები, გივი, ნუკრი, რეზიკო ახობაძეები, ნანული ჭირაქაძე დასტირით მოამაგე დიდედას
ნატალიას
გარდაცვალებას.

დამწუხარებული ბებია ეპრა, ბიძა ბორისი დეიდა ელენა ამალლობლები იუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს საყვარელ პატარა
ზაირას
დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ხონში 9 ივნისს 6 ს.

რკინის გზის მე-10 სკოლის პედ-საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის ამხ. ციცინო ჭყონიას ძმისშვილის
პატარა თორნიკეს
უდროოთ დაკარგვის გამო.

ახლო ნათესავები: ონიფანტე ცოლშვილით, მარუსა, კაკო არველაძეები, სიძე ბათუ ნიკურაძე ცოლშვილით მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
თასონ არველაძის
უდროოდ დაღუპვას. დაკრძალვა სოფ. ჰაგანში 10 ივნისს.

დედა ზინა, მამა სევა, ბებია ეპრაქსი ბახტაძეები მწუხარებით იუწყებიან პატარა
ზაირას
უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ხონში

ტფ. სახ. უნივერსიტეტის მუშფაკის ლექტორთა და მსმენელთა შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამთ ამავე მუშფაკის მესამე კურსის სტუდენტის
ამხ. ამბროსი ვეფხვაძის
გარდაცვალების გამო.

ტფ. სახ. უნივერსიტეტის მუშფაკის საღამოს ცვლის მესამე კურსის პირველი ჯგუფის სტუდენტები ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ამავე ჯგუფის სტუდენტის
ამხ. ამბროსი ვეფხვაძის
გარდაცვალების გამო.

ალექსანდრე, ნატაშა და შურა ვაშაკიძეები მწუხარებით ვიუწყებით საყვარელ პატარა
თორნიკე ლადიკოსძე ჭყონიას
უდროვოთ დაკარგვას.
დაკრძალვა 9 ივნისს სოფ. ჩიბათში.

სას. სამეურნეო მუშფაკის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე მუშფაკის ლექტორ ამხ. სევერიან ბახტაძის შვილის
ზაირას
გარდაცვალების გამო.

ვასო და ნინა ფანცულაიები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ პატარა
ზაირიკოს
უდროვოდ დაკარგვის გამო.
დასაფლავება ქ. ხონში

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68
მთავლიტის რწმუნებული ა 208